№ 2790
ოთხშაბათი,
6 აპრილი

# ცნობის ფურცელი

№ 2790
ოთხშაბათი,
6 აპრილი

**გაზეთის ღირს:** წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წინადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონ 60 № 37.

**ოვსანნა სერგეის ასული, გრიგოლ, გერასიმე და გევორკ ყაზარის ძენი აკოფოვები, ელისაბედ სუკიასიანი და მაკა გალუსტიანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს უდროოდ გარდაცვალებას პირველი—საყვარელ და ძვირფას მეუღლისას, დანარჩენნი—საყვარელ და დაუვიწყარ ძმისას

**რუბენ ყაზარის ძის აკოფოვისას.**

ცხედრის გამოსვენება ვანქის სობოროში ხუთშაბათს, 7 აპრილს დილის 10 საათზე განსვენებულის სადგომიდან (კუკიაში, მინკვინცის ქუჩა, № 5, სახლი ა. აკოფოვისა). პანაშვიდი ოთხშაბათს, 6 აპრილს, საღამოს ექვს საათზე, დასაფლავება ხოჯივანის სასაფლაოზე. (2—159—1)

**მელანია ალექსის ასულის იოსელიანის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ხუთშაბათს, 7 აპრილს, იმის სულის მოსახსენებლად, საფიჩხის ეკკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფალნი. (1—6.—1)

**განცხადება**
**ძმ. თამამშევების ქარვასლის ვაჭრები**

ამით საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ამა 1905 წლის 28 მარტიდან (გასულ ორშაბათიდან) **ვაჭრობა იწყება დილის 8 საათზე და თავდება საღამოს 6 საათზე.** ამასთანავე დადგენილია **ყველასათვის სავალდებულოდ შემდეგი წესრიგი**: ვაჭრობწარმოებს ულაპარაკოდ, ფასის აუწევ-დაუწევლად. გარდა ამისა, აკრძალულია მუშტრების დაძახება-შეხმობა მაღაზიებში.

თუ ვინიცობაა ამ ყველასათვის სავალდებულო წესრიგს ვინმე დაარღვევს, უმორჩილესად ვსთხოვთ პატივცემულ მუშტრებს, დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ თამამშევის ქარვასლის ვაჭრებს ბ-ნთ ს. ი. ფორაქაშვილს და ს. გ. ფარეშოვს, რომელნიც არჩეულნი არიან ქარვასლის ვაჭრებისაგან. (5—153—4)

**ძმ. ნიკიტინების ცირკი.**

ოთხშაბათს, 6 აპრილს, დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის საღამოს ასე 11 საათზე გაიმართება სამი **კავკასიური ჭიდაობა.** მორჩენის შემდეგ ცნობილი ჰერკულესი **რომო** დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **ლადო ჩუბინიძეს.** გამარჯვებულს ვერცხლის საათი. მეორე ჭიდაობა: ცნობილი ფალავანი **მაისურაძე** დაეჭიდება ფალავანს **ჯიბგირს.** გამარჯვებულს 25 მ. მესამე: გამოჩენილი მოჭიდავე **ლიტვინოვი** დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **თედო ბერეკაშვილს**, გამარჯვებულს ვერცხლის საათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათ. დაწვრილებით პროგრამაში. (1—1)

**ტფილისის სობრანიეში**

პარასკევს, 8 აპრილს, საქველმოქმედო მიზნით გამართულ იქნება წარმოდგენა

**ბრჭყალები**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ. ნ. ჩხეიძე, რომანიშვილისა, ბბ. გუნია, გედევანოვი, ქორიძე და სხვა.

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

**ავეჯეულობათა სავაჭროში**

(მიხეილის ქუჩა № 97)

დღესასწაულებისა მოახლოებისა გამო დანიშნულია **იაფი ვაჭრობა** ყოველ გვარ ავეჯეულობაზე გარდაწყვეტილი ფასია დადებული

მიიღება შეკვეთილებაც როგორც ავეჯეულობათა, აგრეთვე საამშენებლოსაქმეებისაც **ამხანაგობის ქარხანაში** (ელისაბედის ქუჩა სახლი № 25). მაღაზიის გამგე ი. რუსიშვილი, ქარხნის გამგე გ. ბერძენიშვილი გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე. (8—1)

**ტფილისის**
**კერძო სამკურნალო**
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.** კბილის 8—9 საათ.
**ვ. გ. მაღალაშვილი.** შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
**ა. ი. ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.
**ნ. ტ. მუღინი.**—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
**ვ. დ. ლაყბაშიძე.**—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
**ძ. გ. მაჭავარიანი.** შინაგ. და ბავშვ. 12—1.
**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
**ექ. ქალი ე. ძ. იოსელიანი.**—ქალისა და საშობიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
**ძ. ნ. დიასამიძე.**—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.
**ს. ს. ალიხან-მესხიშვილი.**—ხირურგია 1—2.

**საღამოს:**

**ხ. ი. ჭავჭაძე.**—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ავადმყოფთ აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ორის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
**ტელეფონი № 274.**

**ქ. ბათუმში**
**ექიმი ა. გ. მაღალაშვილი**
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკასის ქუჩების კუთხეში კომერციული ბანკის სახლი. (60—408—49)

**ექიმი**
**ა. ნ. დიასამიძე**
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—51)

**ბავშვების ექიმი**
**ა. ი. ბალარჯიშვილი**
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკკლესიის გვერდით ტელეფ. 729. (30—91—25)

**ექიმი**
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

**კბილის ექიმი**
**ე. ი. ბალარჯიშვილი**
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (80—278—9)

კბილის ექიმი
**ივანე პ. ახალშენიშვილი**
მაღაზ დი: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 ხდ ხსაღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

## რუსეთ-იაპონიის ომი

### დეპეშები

**„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.**

4 აპრილი

**პეტერბურგი.** ლინევიჩის დეპეშა ხელმწიფის სახელზე 1905 წ. 3 აპრილის თარიღით: „ჯარებში ცვლილება არ მომხდარა. 29 მარტს, დილის ასე 11 საათზე, სოფ. იუხულესთან, 7 ვერსტის მანძილზე, აღმოსავლეთით სოფ. მეიანიდან, ჩვენმა მარცხენა ფრთის რაზმმა სროლა აუტეხა მტერს, რომელსაც გორაზე ეჭირა პოზიცია, ამავე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით. $11^1/_2$ საათზე მტერი იძულებული გახდა გაეწმინდა პოზიცია, რისთვისაც ჩვენს რაზმს ებრძანა წაწეულიყო წინ უღელტეხილის დასაჭერად. ჩვენმა რაზმმა შეავიწროვა მტერი, შემოუარა მის ფრთებს და მივიდა სოფ. მეიანში. რა მოხდა შემდეგ, ჯერ არ მოუხსენებიათ".

**პეტერბურგი.** ლინევიჩის დეპეშა, ხელმწიფის სახელზე 1905 წ. 3 აპრილის თარიღით: „30 მარტს ჩვენს რაზმს, რომელიც სოფ. ერხელზე მიდიოდა, შეხვდა მტერი; მტრის ქვეითმა ჯარმა და ტყვიის მტყორცნელმა როტამ ცეცხლი მიუჩემეს ჩვენებს სოფ. სიავაიცი და ალუხადიდან. ჩვენმა არტილერიამ პასუხი გასცა და მივიდა მტრის პოზიციაზე, რომელიც ეჭირა ქვეითა ჯარსა და ტყვიის მტყორცნელთ 5 როტას. იაპონელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს."

5 აპრილი

**სინგაპური,** 4 აპრილი. ორთქლ-მავალმა გემმა „დევავონს"-მა 2 აპრილს დილით გაუსწრო რუსეთის ესკადრის ნაწილს, ვარელის კონცხთან.

**ლონდონი.** გონკონგიდან მოსული დეპეშა იუწყება, ორთქლ-მავალი გემი „ბრუნხილდი", რომელიც პანკოკიდან მიდიოდა, 3 აპრილს დააყენეს რუსის კრეისერებმა, რომელნიც სრულიად მზად ყოფილან ბრძოლისათვის. გემი გასინჯეს რუსებმა და ნება მისცეს განეგრძო გზა. კაპიტანმა „ბრუნხილდი"-სამ დასთვალა რუსის 33 გემი, რომელნიც ჩრდილოეთისაკენ მიდიოდნენ და საათში 10 მილს აკეთებდნენ.

**ამოი,** 4 აპრილი. იაპონელები დიდ-ხანს ელოდნენ რუსეთის ესკადრას ამოისთან. ჩინეთის მთავრობამ აღმოაჩინა ვეებერთელა საწყობი მედიკამენტებისა. იაპონელებმა საიდუმლოდ შეიძინეს კუნძულ ვალეის ნაწილი, რომელიც ამოის ნავთ-სადგურში იმყოფება.

**ლონდონი.** „ლლოიდ"-ის საზღვაო დამზღვევთ ცოტათ სჯერათ ის ხმები, რომელნიც რუსების სანახშირე გემების იაპონელთა მიერ წართმევას შეეხებიან. ეს ამბავი რომ მომხდარიყო, ძლიერ საყურადღებო იქნებოდა და „ლლოიდ"-ი პირველი მიიღებდა ცნობასაო. მართალია, ის სანახშირე გემები, რომელნიც რუსის ესკადრას მისდევენ, იაპონელთა ობიექტს შეადგენენ, მაგრამ მათი უბრძოლოთ წაყვანა შეუძლებელი იყო და ამნაირ ბრძოლაზე კი არავითარი ცნობა არ მოსულაო.

**პარიჟი.** მარტინიკიდან მოსულ ცნობებით ცეცხლ-მფრქვეველ მთა მონპელიეს ისევ დაუწყია მოქმედება.—გამოქვეყნებულია დეპეშა მადრიდიდან, რომელიც იუწყება, ბარცელონის გორნიზონის ორი კაპიტანი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს, რადგანაც მათ ბრალს სდებენ მთავრობის ღალატში. საქმე უნდა ეხებოდეს ნამდვილ პრონუნციამენტოს, რომლისთვის დახმარება აღუთქვამს გენერლებს. სამხედრო სარჩო უარს [illegible] მიცემაზე.

**განჯა.** აქ ცნობა მოვიდა, მეწყდა რუსეთიდან გადმოსახლებულებით თავისუფალ მიწების დასახლებაო.

**რიგა,** 2 აპრილი. შუადღეზე, შუაგულ ქალაქში ხაზანოვსკისა და კანტერის საკომისიო კანტორაში შევიდა სამი ახალგაზრდა, რიგიანად ჩაცმულნი; ერთ მათგანს სასამართლოში მოსამსახურის ფორმა ეცვა. მოსულთ მოითხოვეს ჰლიუშის ნიმუში. კანტორაში მხოლოდ კანტორის შაგირდი იყო, რომელმაც მეორე ოთახში შეიპატიჟა მუშტრები. შაგირდს გაჰყვა მხოლოდ ერთი, ორნი-კი კანტორაში დარჩნენ. იმ დროს, როცა შაგირდი საქონელს უჩვენებდა, კანტორაში დარჩენილნი მიეპარნენ უკანიდან მას, გადააფარეს თავზე ტომარი და გაიქცნენ, მიკეტეს რა კანტორაში გამოსასვლელი კარი. ჩქარა მოვიდა კანტორის პატრონი და აღმოაჩინა, რომ მოეპარნათ ჩემოდანი, რომელშიაც 57 რევოლვერი წყობილიყო. წამლები ვერ უპოვნიათ ჯერ.

**რომი.** 4 აპრილი. მილანსა და ტურინში დაიწყო რკინის გზის მოსამსახურეთა საერთო გაფიცვა. გაზეთების უმეტესი ნაწილი და საზოგადოებრივი აზრი არ თანაუგრძნობენ გაფიცვას.

**„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"**

4 აპრილი

**საიგონი,** 4 აპრილი. საფრანგეთის სავაჭრო სახლმა საიგონში რუსის ესკადრისთვის ნახშირის მისაზიდავად იყიდა გემი „ერინსდანი", რომელიც დღეს საღამოს გავიდა კიდეც ზღვაში დატვირთული. რუსეთიდან გამოსვლის შემდეგ რუსეთის ესკადრას, რომელზედაც 18 ათასი კაცია, მხოლოდ რვა კაცი მოკვდომია. იაპონელებმა დაიჭირეს რამდენიმე სანახშირე გემი, ნაპირიდან მოშორებით.

**გონკონგი.** აქ განუწყვეტელი ხმებია, ბალტიის ესკადრის ნაწილი დგას ჩინეთის წყლების ყურეში, ჩრდილოეთით გონკონგიდანო.

**ტოკიო.** ცნობამ, ბალტიის ესკადრის 1 აპრილს კამრანის ნავთსადგურში ყოფნის შესახებ, ძლიერ გააკვირვა აქაურები, რადგანაც არავინ არ მოელოდა, რომ საფრანგეთი ნებას მისცემდა მეომარ სახელმწიფოს ფლოტს ესარგებლნა მისი ნავთსადგურებით. ჰფიქრობენ, იაპონია ამის შესახებ შეეკითხება საფრანგეთსაო. ოიამას მოხსენებით, რუსის კავალერიის ხუთი ესკადრონი შესულა სენიენჩინში ფაკუმენ-ფენუხას გზაზე, მაგრამ იაპონელებს მოუგერებიათ იგინი და 8 კაცი მოუკლავთ. იპონელთ 2 კაცი დაუკარგავთ.

**განჯა.** საერთო სიხარული გამოიწვია სომხებში უმაღლესმა ბრძანებამ, რომელიც შეეხება სომხების საეკკლესიო მამულების კანონის გადახედვას. თუ კათოლიკოსის შუამდგომლობა გამარჯვებით დაბოლოვდა, მაშინ მაჰმადიანებსაც ეძლევათ იმედი, რომ იმათაც დაუბრუნებენ იმ მამულებს, რომელნიც, დიდი ხანია, ხაზინას წაუღია.

**ბაქო.** მოვიდა რევიზორი კუზმინსკი.

**მოსკოვი.** 4 აპრილი. მოსკოვის მაზრის მთავრობის ოფიციალურის მოხსენებით ტფილისის ცნობები მოსკოვის გუბერნიაში გლეხთა მოძრაობის შესახებ, უსაფუძვლოა. ყველგან წესიერება და მშვიდობიანობა სუფევსო.

**პეტერბურგი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს წევრი ჩარიკოვი დანიშნეს ელჩად რომში.

**ასხაბადი.** აღმოსავლეთ ხოლერით ავადმყოფი.

**რიგა,** 4 აპრილი. ლიფლიანდიის გუბერნატორმა გამოსცა განცხადება, რომლითაც იწვევს გლეხ-კაცობას, მშვიდობიანად იშრომეთ, გაჭირვებული დრო დადგა და კანონიერი შედეგი მოჰყვება პოლიციისა ანა და სამხედრო პირების თავდასხმასაო.

**კიევი.** 4 აპრილი. პოლიტექნიკურ ინსტიტუტის საბჭომ დაადგინა, არ გადახდეს სტუდენტებს სწავლის ფული მიმდინარე ნახევარწლის.

**პეტერბურგი,** 4 აპრილი. მეცნიერებათა აკადემიამ კობეკოს კომისიას წარუდგინა მოხსენება, რომელშიაც სწერია, საჭიროა ეხლავე განთავისუფლდნენ ჟურნალ-გაზეთები ცენსურისაგან და, ახალ საცენზურო წესდების შემუშავებამდე, გამოიცეს დროებითი წესდებით.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ახალი ცნობები რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედებაზე.** „დეილი მეილ"-ს ატყობინებენ გონკონგიდან, რუსისა და იაპონიის ფლოტს პატარა შეტაკება მოუვიდათო. დაწვრილებითი ცნობა არ მიგვიღიაო. იაპონელები, ალბად, რუსის ტრანსპორტებსა და მინახშირე გემებს დაესხმოდნენ. აკი საიგონიდანაც იუწყებიან, იაპონელებმა რამდენიმე მენახშირე გემი დაიჭირეს ზღვის ნაპირიდან შორსაო.

იქნება ცნობა 30 მარტს მომხდარ ბრძოლაზეც მართალი იყოს. გემს „ტელომახუს"-ს 30 მარტს ნაშუადღევს კუნძულ ნატუნიდან 159 მილის სიშორეზე, ჩრდილოეთით, ზარბაზნის სროლა გაუგონია."

ახალ დეპეშებიდან სჩანს, რომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის გემები 1, 2 და 3 აპრილს საფრანგეთის კოლონიის ანამის ნაპირად უნახავთ კონდორის კუნძულებთან, პადარანის კონცხთან და კამრანის ბუხტაში. კამრანის ბუხტა საიგონიდან 150 მილის მანძილზე მდებარეობს, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. 1 აპრილს რუსის ესკადრა კამრუნის ბუხტაში ყოფილა. ჰფიქრობენ, იაპონია ამაზე პროტესტს გამოუცხადებს საფრანგეთსაო. იუწყებიან, რუსის ესკადრა ალბად, პარაცელსის არხიპელაგისაკენ მიდისო. პარაცელსის არხიპელაგი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მდებარეობს, საიგონიდან დაახლოვებით 900 ვერსტზე, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, კუნძულ გაინანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იაპონიის უმთავრესი ფლოტი ვითომ აქამდე ამოის ბუხტასთან იდგა, კუნძულ ფორმოზას პირ-და-პირ და იქ ელოდებოდა რუსის ფლოტს. ეხლა-კი მალე უნდა შეჰხვდნენ ერთმანეთს რუსისა და იაპონიის უმთავრესი ფლოტი. ადმ. როჟესტვენსკი ეხლა, ალბად, წყნარ ოკეანეში გასვლას ეცდება, ადმ. ტოგო-კი ღონისძიებას მიიღებს, რუსის ფლოტი ხელიდან არ გაუშვას.

**რუსულ პრესსის აზრი ადმ. როჟესტვენსკის მოქმედებაზე.** „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: ტოკიოდან დეპეშამ გვაცნობა: „აქ უმეტესობა იმ აზრისაა, რომ რუსის ადმირალი იაპონიის ფლოტთან ბრძოლას არ აპირობს და ვლადივასტოკში მისვლას ეცდებაო". ეს სწორე აზრია და რუსის ადმირალი ნამდვილად ასე უნდა მოიქცესო. მიმომხილველს საეჭვოდ მიაჩნია, რომ დიდი ბრძოლა მოხდეს ზღვაზე. რუსულმა გაზეთებმა მაინც ეხლავე ხმა გაავრცელეს, ვითომ რუსის ფლოტმა იაპონიის 5 ან 7 გემი ჩაძირაო. გაიხსენეთ, რომ ერთმა რუსულმა გაზეთმა ომის დაწყების უმალ იაპონიის „11 ჯავშნიანი გემი" ჩაძირა ერიბაშად. ეს ცნობაც იმნაირივე ცნობაა სწორედ. რასაკვირველია, შეუძლებელი არაა, რომ ზღვაში რუსისა და იაპონიის ფლოტის მოწინავე რაზმებს შეტაკება მოუვიდეთ, მაგრამ ერთბაშად ამდენ გემის ჩაძირვა-კი შეუძლებელი საქმეა. გაიხსენეთ, რა უბედურად გათავდა რუსეთისათვის 28 ივლისის ბრძოლა, მაგრამ მაშინაც-კი არც ერთი გემი არ ჩაძირულა... საყურადღებოა, რომ იაპონიის უმთავრეს ესკადრაზე არავითარ ცნობა არ მოდის, არც რუსის ჯავშნიან ჯემებზე მოდის ცნობა. უეჭველია, ადმირალი როჟესტვენსკი ყოველნაირად ცდილობს ხელიდან გაუსხლტეს იაპონელებს, ადმ. ტოგო იმის პოვნას სცდილობს. ეხლა მეტად მნიშვნელოვანი ამბები ხდება ზღვაზე. ამისთანა მნიშვნელოვანი ამბავი ხელ-ახლად მაშინ მოხდება, როცა რუსის ფლოტი სუნგარის სრუტეს მიუახლოვდება და იაპონიის ზღვაში გასვლას ეცდება. თუ ადმ. როჟესტვენსკი როგორმე წყნარ ოკეანეში გავა, მხოლოდ მაშინ მოგვეცემა იმედი, რომ იქნება რუსის ფლოტმა როგორმე ვლადივასტოკს მისვლა მოახერხოსო. ეხლა-კი, როცა რუსის ფლოტი მხოლოდ ზონდის არხიპელაგში შევიდა, ამნაირ დიდის იმედის გამოთქმა, მეტი რომ არა ვსთქვათ, ნაადრევიაო.

ბ. სუვორინს-მამას ზონდის არხიპელაგთან მისვლაც-კი დიდ საქმედ მიაჩნია და ადმ. როჟესტვენსკის დიდებულ ადმირალის სახელს უწოდებს: დიდებულმა ადმირალმა ყოჩაღად მიიყვანა თავისი გემები და მარტო ამისათვისაა დიდის თანაგრძნობის ღირსიო. თუმცა ადმ. როჟესტვენსკი ადმ. მაკაროვის დაღუპვის წლის თავზე ჩავიდა შორეულ აღმოსავლეთს, მაგრამ ბ. სუვორინს მაინცა სწამს რუსის ფლოტის გამარჯვება.

სუვორინის გარდა რუსეთში ბევრს სხვასაც სწამს ადმ. როჟესტვენსკის გამარჯვება. აკი ხმაც დაყარეს, რუსის ფლოტმა იაპონიის 7 გემი ჩაძირაო. როგორც ვიცით, იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად უარჰყო ეს ხმა. დეპეშამ გვაცნობა, რუსის არმია მანჯურიაში დიდის ინტერესით ჰკითხულობს ფლოტის მოქმედების ამბებსაო.

**რუსისა და იაპონიის ფლოტი.** გერმანული საზღვაო გაზეთი „დოიჩე რევიუ" [illegible] იაპონიის ფლოტს. გაზეთის ანგარიშით, იაპონიის მთელ ფლოტს 205 ათასი ტონა წყალ-წყვა აქვს, აქედან 72 ათასი ტონა ჯავშნიან გემებს შეჰხვდებათ. რუსის ფლოტს საერთოდ 202 ათასი ტონა წყალ-წყვა აქვს, აქედან ჯავშნიან გემებს 120,500 ტონა შეჰხვდება. ასე რომ რუსის ფლოტი იაპონიის ფლოტზე ძლიერად უნდა ჩაითვალოს, რადგან რუსის ჯავშნიან გემებს 50 ათასი ტონა წყალ-წყვა მეტი აქვთ, ვიდრე იაპონიისას. რუსისა და იაპონიის ფლოტის შეხვედრის დროს დიდი მნიშვნელობა ექნება, რამდენად გაწრთვნა და მოამზადა რუსის ადმირალმა თავისი მეზღვაურებიო.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გემების სწრაფლ მავლობას. კაპიტან კლადოს უთქვამს „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტისათვის: წინასწარმეტყველება არ შემიძლიან. მხოლოდ დარწმუნებული ვარ, რომ ადმ. როჟესტვენსკი ნიჭიერი კაცია და იმისი მეზღვაურები გმირები არიან. გაზ. „დეილი მეილ"-ი იუწყება, ადმ. როჟესტვენსკის გემებს ერთის ფუტის სიმაღლეზე მიეკრა ლოკოკინა და ზღვის ბალახიო. არა მგონია, ეს მართალი იყოს, მით უმეტეს რომ როგორც ინგლისური გაზეთებიც იუწყებოდნენ, რუსის გემებს მადაგასკართან დგომის დროს გააცალეს ლოკოკინა, ამიტომ არა მგონია, რუსის ესკადრას სისწრაფე დაჰკლებოდაო.

„რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველს არა სჯერა, რომ რუსის გემები ლოკოკინისაგან გაეწმინდოთ: ასეთ მძიმე საქმეს რამდენიმე თვე დასჭირდებოდა და ამ ხნის განმავლობაში გემებს ხელახლად მიეკვროდა ლოკოკინა და ზღვის ბალახი. მართლაც სინგაპურიდან დეპეშამ გვაცნობა, რუსის გემებს ერთ ფუტის სიმაღლეზე ლოკოკინა და ზღვის ბალახი ჰქონდა მიკრულიო; ამის გამო რუსის ესკადრა ეხლა $1^1/_2$ მილით ნაკლებს გაივლის, ვიდრე წინად გადიოდა.

„რუს"-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: აქ ყველა სხვა საქმე დაივიწყეს და მარტო ადმ. როჟესტვენსკიზე-ღა ჰფიქრობენ. გერმანიის საზღვაო შტაბი ორ პარტიად გაიყო: ზოგს ადმ. როჟესტვენსკის გამარჯვების იმედი აქვს, ზოგს იაპონიის ფლოტისა. ჰფიქრობენ, დიდი მნიშვნელობა ექნება იმ გარემოებას, თუ რამდენი ქვანახშირი აქვს რუსის ფლოტს; იაპონელები უმთავრესად რუსის მენახშირე გემების დაღუპვასა და დაჭერას ეცდებიანო. თუმცა გერმანელი მეზღვაურები ბევრს არას მოე-

რუსის ფლოტისაგან, მაინც ეხლა უფრო კარგის აზრისანი არიან ადმ. როჟესტვენსკიზე.

ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, იაპონიამ სამხედრო წესები შემოიღო პესკადორის კუნძულებზე და პორტკილუნში კუნძულ ფორმოზაზე უცხოეთის გემებს შესვლა აუკრძალაო. ფრანგულ გაზეთებს ეს ცნობა სამხედრო ხერხად მიაჩნიათ. იაპონელებს, ცხადია, ჰსურთ დაარწმუნონ რუსები, რომ იმათ ფლოტის ბაზა ფორმოზას ჩრდილოეთ ნაწილშია, ნამდვილად-კი ადმ. ტოგო უმთავრეს ფლოტით უეჭველად სამხრეთისაკენ წავაო.

**პორტ-არტურის რესტორატორის ნაამბობი.** პორტ-არტურის რესტორატორად ნამყოფი ოდესაში დაბრუნებულა და შემდეგი უამბნია „ოდესკი ნოვოსტი“-ს თანამშრომლისათვის.

„შემოვიდნენ თუ არა იაპონელები პორტ-არტურში, ჩემი რესტორანი იაპონელ აფიცრებითა და სალდათებით გაივსო. მეგონა, სულ ერთიანად დამილეწავდნენ რესტორანს და დამალვას ვაპირობდი. მაგრამ იაპონელმა აფიცრებმა დამამშვიდეს, არავინ არას გერჩის, ურიგო სიტყვას არავინ გეტყვისო. მთხოვეს, ჩვენ სალდათებს ყველაფერი მიეცი რაც გთხოვონ და მარკები გამოართვიო, მერე მაგ მარკებით ფულს მიიღებ იაპონელ კომენდანტისაგანაო. თითონ აფიცრები-კი ნაღდ ფულს მაძლევდნენ ყველაფერში. სალდათები სულ არ ერიდებოდნენ აფიცრებს და იმათთან ერთად სჭამდნენ, სვამდნენ და საუბრობდნენ. სრული სამი დღე გაძლიერებული ვაჭრობა მქონდა და იაპონელებს ჩემთვის ერთი ცუდი სიტყვაც არ უთქვამთ, ზრდილობიანად მექცეოდნენ და ერთი [illegible] და პორტ-არტურიდან წამოველი“.

## აგრარული საქმე და რუსეთის ერობა

რუსეთშიაც და ჩვენშიაც დიდი უმრავლესობა მცხოვრებლებისა სოფლელნი, მიწის მუშანი არიან; ეგრედ წოდებული საგლეხო საქმე მთავარია ყველა სხვა საქმეებ შორის და ამიტომ მთავარი ყურადღებაც უნდა მიექცეს, რასაკვირველია, ახალ წეს-წყობილების შემოღების შემდეგ: ეხლანდელ პირობებში წვრილმანი საკითხიც კი ვერ გადაწყდება საზრიანად, არა თუ ისე დიდ-მნიშვნელოვანი, როგორიც საგლეხო ს[illegible] სანამ პიროვნების თავისუფლება უზრუნველყოფილი არ იქნება, სანამ სოფელს არ მიენიჭება ნამდვილი და სრული თვით-მჭართველობა, სანამ სრულიად არ მოისპობა ადმინისტრაციის „მზრუნველობითი აპეკა“ მთელის თავის არსენალით, რაიმე გაუმჯობესების ცდა წყლის ნაყვა იქნება. და ყველა ეს ხომ, რასაკვირველია, შეუძლებელია, თუ ძირითადი ცვლილება არ მოხდა არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილებაში...

აი, როცა ეს ყველაფერი ასრულდება, სინამდვილე გახდება, შესაძლებელი იქნება სოფლელის ეხლანდელ მდგომარეობის გაუმჯობესებაც.

რუსეთის ერობასაც ეგრე ესმის საქმე. ამ მოკლე ხანში მოსკოვში შესდგა კერძო თათბირი ერობათა წარმომადგენლებისა. თათბირზე საგანგებო ყურადღება მიაქციეს აგრარულ საკითხს, მაგრამ პირველად ყოვლისა ის დაადგინეს, რომ აგრარულ კანონმდებლობის წესიერად დადგენისათვის აუცილებელია რუსეთის სახელმწიფო წეს-წყობილების ძირითადი ცვლილება, საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე დამყარებული.

ამ ნიადაგზე განახლებული სახელმწიფო უნდა შეუდგეს აგრარულ კანონმდებლობასაც.

დღეს შეუძლებელია, რომ სახელმწიფო არ ჩაერიოს სოფლის საქმეში; თუ ეკონომიურ ცხოვრებაში ერევა საზოგადოთ სახელმწიფო, აგრარული სფერა ხომ უმნიშვნელოვანესია რუსეთისათვის.

პროგრამა მომავალ აგრარულ რეფორმისა უნდა იქნეს დამყარებული შემდეგ პრინციპებზე:

1. მიწის მუშის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უნდა იქნეს შემოღებული სავალდებულო შესყიდვა კერძო მემამულეთა ზოგ, უფრო საჭირო, ადგილებისა;
2. სახელმწიფო მიწები და ნაწილი საუფლისწულო მამულებისა სახელმწიფო სადგილ-მამულო ფონდად უნდა იქნეს გამოცხადებული; ეს ფონდი თანდათან უნდა გადიდდეს კერძო მამულების შესყიდვით; ამ ადგილების ექსპლოატაცია მოწყობილი უნდა იქნეს მშრომელ ხალხის ინტერესების თანახმად;
3. სახელმწიფოს ჩარევით საქმეში უნდა მოწეს-რიგდეს სადგილ-მამულო იჯარის პირობები;
4. უნდა დაარსდეს საგანგებო საზოგადოებრივ-სახელმწიფო კომისიები აღნიშნულ აგრარულ ღონისძიებათა ასასრულებლად.
5. უნდა მოწეს-რიგდეს გადასახლების, სხვა-და-სხვა სახის კრედიტისა, საგლეხო ბანკის საქმე და ხელი უნდა შეეწყოს საკოოპერაციო დაწესებულებათა დაარსებას.
6. გამიჯვნის კანონ-მდებლობა ძირითადად უნდა შეიცვალოს და სხვა.

[illegible] შემდგენლებს გათვალისწინებული აქვთ [illegible] დღევანდელი ჭირ-ვარამი აქამდე დაჩაგრულ სოფლელისა; ამ პროგრამის განხორციელება ფეხზე დააყენებს ეხლა წელში გაწყვეტილ სოფლის მუშას, შექმნის ისეთ ნიადაგს, რომელიც შეძლებას მისცემს ხალხს განახორციელოს უფრო სამართლიანი სოციალ-ეკონომიური წეს-წყობილება...

ამ პროგრამის დაკანონება იქმნება პირველი სერიოზული ნაბიჯი იმ სამართლიან სოციალ-ეკონომიურ წეს-წყობილებისაკენ...

პირველი მუხლი პროგრამისა წვრილმანია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი; ალია-[illegible] მაგალითად, სოფლისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მამულის პატრონის რომელიმე ადგილი და მემამულე ნებით არ უთმობს, სახელმწიფო ძალათ შეისყიდის და სოფელს გადასცემს.

მეორე მუხლი თავისთავადაც ცხადია: სახელმწიფო და საუფლისწულო მამულები დღემდე უსარგებლოა მშრომელ ხალხისათვის; ხალხს მიწა უჭირს და ამოდენა ადგილები კი მისთვის ფუჭად გდია; ეს საქმე აუცილებლივ უნდა მოწეს-რიგდეს საკანონმდებლო გზით, რომ მხოლოდ მშრომელს შეეძლოს სარგებლობა. და რომ ეს სახელმწიფო ფონდი არ გამოილიოს, საჭიროა თან-და-თან შეისყიდონ კერძო მამულები.

დღემდე მოიჯარადრე მამულის პატრონის სრულ ნებაზეა დამოკიდებული: თუ იჯარით არ აიღო მიწა, შიმშილით მოკვდება და მამულის პატრონიც ამით სარგებლობს — იჯარის ფასს უმატებს. სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ამ საქმეში თავის კანონმდებლობით: იჯარის ფასის გადამწყვეტი მამულის პატრონი კი არ უნდა იქმნეს, არამედ საზოგადოების და მთავრობის მიერ არჩეული პირები ან საგანგებო სასამართლო, არჩეულ პირთაგან შემდგარი.

სხვა მხარეს პროგრამისას აქ არ ვეხებით, მაგრამ არ შეგვიძლია მკითხველის ყურადღება არ შევაჩეროთ ერთ გარემოებაზე:

მოყვანილი პროგრამა მოსაწონია, იგი შესამჩნევად შეამსუბუქებს სოფლელ მუშის მდგომარეობას, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ ეს სოფლელი მუშა ჩვენებური არ იქნეს. და აი რატომ.

ავიღოთ, მაგალითად, სახაზინო მიწებისა და გადასახადების საქმე: დღემდე ამ მიწებზე მხოლოდ რუსეთიდან გადმოსახლებულებს ასახლებდნენ, მხოლოდ ამათთვის არის სახელმწიფო ფონდად მიჩნეული. და ამ წესის შეცვლა, შეიძლება, სრულიად არ ინდომოს განახლებულმა რუსეთმაც, თუნდ ეს განახლება ისეთიც იქნეს, როგორიც დღეს სურს რუსის საზოგადოების დაწინაურებულ ნაწილს. ისტორია და რუსეთზე ბევრად დაწინაურებული [illegible]ს დღევანდელი ცხოვრე[illegible]ას, რომ სანამ ერი თვ[illegible]ჯის პატრონი, კარგი ს[illegible] ხშირად გამოუდეგარია მისთვის. საფრანგეთში დღეს დემოკრატიული რესპუბლიკაა და საფრანგეთის სამფლობელოში ალჟირში ფრანგები რესპუბლიკის დახმარებით ტყავს აძრობენ ალჟირელ არაბებს.

ამიტომაც ვფიქრობთ, რომ პეტერბურგის საერთო კრება, საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე დამყარებულიც-კი, ვერ დააკმაყოფილებს განაპირა ქვეყნის მოთხოვნილებას, მათ შორის ჩვენსასაც; ამიტომაც არის, რომ ყოველი შეგნებული ხალხის ინტერესებს მიმხედარი განაპირა ქვეყნელი არ კმაყო-[illegible]

### [illegible]

**ს. ხაშმი** (გარეთ კახეთი). გურიისა და ქართლის შემდეგ ჩვენმა გარეთ კახეთმაც გაახილა თვალი. აქაც დაიწყეს მცხოვრებლებმა თავის საჭიროებაზე სჯა-ბაასი და ღელვა. პირველად საგარეჯომ აიმაღლა ხმა უსამართლობის წინააღმდეგ. ამას მიჰყვა სოფლები: პატარძეული, ხაშმი, უჯარმა, მულალნო და სხვანი. 20 მარტს ხაშმელებმა ჯვარსა და სახარებაზე შეჰფიცეს ერთმანეთს ერთობა. შემდეგ მოიტანეს დაბეჭდილი საარაყე ქვაბები და ახსნეს ბეჭდები. ექვ-[illegible] „[illegible]ში“, სადაც შეიკრიბა სხვა სოფლების ხალხიც (მაგ. პატარძეულისა, უჯარმისა, მულალნოსი, მუხროვანისა, ყარაბულახისა). ყველა სოფლის წარმომადგენელმა ილაპარაკა თავის საჭიროებაზე. აგრეთვე შეეხნენ თავ. ჩოლოყაშვილს, რომ ძალიან გვაწუხებსო. თითონ ჩოლოყაშვილმაც ილაპარაკა და ხალხს ძმობა-ერთობას შეჰპირდა. მოლაპარაკების შემდეგ ხალხი დაიშალა.

ხაშმელებმა რომ გაიგეს, მაზრის უფროსი მოთხოვნილებას მიიღებსო, შეიმუშავეს და სამშაბათს, 22 მარტს, მაზრის უფროსს, ლ. ჯანდიერს წარუდგინეს; ლაპარაკით კი არ ელაპარაკნენ ხაშმელების მოთხოვნილებანი შემდეგია:

სახაზინო ტყის დავაზე თ. ჩოლოყაშვილთან ხაშმელებმა ბევრი ფული დახარჯეს და ჯაფა გასწიეს, მაგრამ ნაყოფით კი არ ასარგებლეს, ტყე მათ აღარ დაანებეს; ხაზინამ დაისაკუთრა და ისე შეკრა, რომ სახრესაც კი არ ანებებენ უბაოდ; რადგან ტყეც და მიწაც საზოგადოდ მშრომელის ადამიანისთვის შეზღუდულ არ უნდა იყოს, ამიტომ ვითხოვთ: ტყე უფასოდ მოგვეცეს, რაც საშინაოდ დაგვჭირდება, ხოლო გასასყიდზე კი გადასახადი გადავიხადოდ. მოისპოს ბოლის ფული. ისევ დაგვიბრუნდეს საფიჩხე ტყე „ლაჯებაულა“, როგორც წინადაც ვსარგებლობდით, რადგან უსამართლოდ ჩამოგვერთვა. ტყის ველები და მინდვრები, რომლებიც წინად მამაპაპის დროს ჩვენ გვეკუთნოდა, შემდეგში ხაზინამ წაგვართვა, ისევ დაგვიბრუნდეს საკუთრებად. რადგან ამ ზემოხსენებულ ველებისა და ტყის „ლაჯებულის“ გადასახადს დღემდის ვიხდიდით და ვერ ვხმარობდით კი, ამიტომ ვითხოვთ: ის ზედმეტი გადახდილი ფული გამოანგარიშდეს და ჩაგვერიცხოს მომავალ ხარჯებში. რადგან ჩვენ საკმაო საძოვარი არ მოგვეპოვება და ჩვენსავე ტყეში კი მხოლოდ ფასით გვაძოვებინებენ ხოლმე, ამიტომ ვითხოვთ: ნება მოგვეცეს, საქონელი ვაძოვოთ სახელმწიფო ტყეში უფასოდ და მოისპოს ყოველივე საბალახე. ადგილ-მამული ჩვენც არა გვყოფნის, ამიტომ ვითხოვთ, ჩვენს ადგილებში არავინ გადმოასახლონ. მოისპოს გლეხებისთვის ყოველგვარი სახელმწიფო ბეგარა. ჩვენს საზოგადოებაში ცხოვრობენ ჩოლოყაშვილის ნაყმევი 14 კომლი, რომელთაც სახნავი, სათიბი და საძოვარი მიწები და აგრეთვე ტყეც არ მოეპოვებათ. ვითხოვთ, ისინი დაკმაყოფილებულ იყვნენ. მოისპოს „აბროჩნი სტატიები“ (საიჯარო სახელმწიფო მამულები), პატრონებს მიეცეთ საკუთრებად. აგრეთვე დაუბრუნდეთ გლეხებს ის ჩამორთმეული ვენახები და სახნავი „ხოდაბუნები“, რომელიც ხაშმის საზღვარში შედის.

დანარჩენი მუხლები მოთხოვნილებისა დაახლოვებით იგივეა, რაც სხვაგან.

ამის შემდეგ ხალხი უფრო დაწყნარდა, დამშვიდდა. მაგრამ თავის საკუთარს საქმეებზედ მაინც სჯა-ბაასს არ სწყვეტავდა. მამასახლისი და მოსამართლენი დაითხოვეს. სკოლები დააკეტინეს. ტყის ყარაულები გამორეკეს და თავიანთი კაცები დააყენეს. ამოირჩიეს თორმეტი კაცი, რომელთაც ჩააბარეს ყოველ გვარი საქმის წარმოება და გამგებლობა მთელის სოფლისა.

თ. ჩოლოყაშვილს ჩამოართვეს სოფლის მახლობლად მდებარე შინდორი და შიგ საქონელი დაუდით თავისუფლად. გამოიდე-[illegible] რამ ბევრნი წინააღმდეგნი გახდნენ: ჩვენს მამაპაპას სჯერია მერე მაგათ ძალით ყოფილა, თუ მოტყუებით დაუჭერიათ და ეხლა მაინც ჩვენი უნდა იყოსო. გერმანელების სოფელს (მარიენფელდს) ხშირად მიაქვს ხაშმიდან საშენებელი და საწვავი ქვა, აგრეთვე ტყეც. ხაშმელებმა გადაწყვიტეს, აღარ დაანებონ არც ქვა, არც ტყე, რადგან ისინი არ უერთდებიან დანარჩენს სოფლებს; ალბად, ეგენი მაძღარნი არიან, რომ არაფერს თხოულობენ, და თუ არა უჭირთ, რა, ჩვენც აღარაფერს ამხანაგობას გავუ-[illegible], ფასითაც აღარ დავანებებთ რასმეო.

ხაშმელები წყნარად არიან, არც არაფერი ძალმომრეობა უხმარიათ წინათ და არც შემდეგში აპირობენ. მშვიდათ სურთ საქმის გაკეთება და მიზნის მიღწევა. **ივერელი.**

---

**ნაფარეული** (კახეთი). 25 მარტს ნაფარეულის, ართანის და სანიორეს გლეხების საზოგადო კრებას სოფ. ნაფარეულში ჰქონდა ბჭობა თავის საჭიროებაზე. კრებიდან წასულა სკოლისაკენ, შორი-ახლო გაჩერებულა, მასწავლებელ ქალს არ შეეშინდესო, კაცები გაუგზავნია და შეუთვლია, სკოლა უნდა დაიკეტოს, თქვენ მიბრძანდით, რა წესითაც თქვენ ასწავლით, ტყუილად დროს დაკარგვაა თქვენთვისაც და ჩვენი შვილებისთვისაც; სანამ სწავლების წეს-რიგი არ შეიცვლება, აღარ გავხსნით სკოლასაო. გამოსულა ხალხთან მაზრის უფროსი, რომელიც წინა დღეს იყო გასული ჯარით თავ. რევაზ ყარალაშვილისაგან ნაამბობის გამო, მიუმართნია ხალხისათვის, რომ აერჩია რამდენიმე კაცი. ხალხის წარმომადგენელს უპასუხნია, ბევრჯელ მოგმართეთ, ბევრი თხოვნა წარვადგინეთ, მაგრამ ყველა სუფრის ქვეშ ამოსდე[illegible] იგივე წარმომადგენელი მაზრის უფროსს შეუყვანია ცალკე მოსალაპარაკებლად, ხალხიც მიჰყოლია ყურის დასაგდებად. წარმომადგენელს ქვაბი გამოუტანია კანცელარიიდან და უთქვამს, აი რა დღე დაგვაყენეთ: რომ აღარ შეგვიძლიან ხარჯის გადახდა, უკანასკნელ ქვაბებს გვართმევთ და ფარდაგებსო, თან ფარდაგები გამოუყრია. წყალი კაცი ახლა ქინქრით მიდის იოლას, თქვენ ქვაბები წაართვით და ჰინჰარსაც ვეღარ იხარშავსო. მაზრის უფროსი წასულა საუფლისწულო მამულში. ხალხს კიდევ უთათბირნია და დაშლილა. სხვათა შორის, წაუკითხნიათ სიგელი ტყავზე ნაწერი, რომელშიაც შესავალს გარდა შემდეგი წერებულა.

„ჩვენ ცვა ფარულთა მინდობილებისაგან კახეთის პატრონმან შთამომავლობით ბაგრატიონმან მეფემან ერეკლემან და თანა მეცხედრემან ჩვენმან ესე ამიერ ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიში აღგიწერე და გიბოძე თქვენ ჩვენთა ერთგულთა და დიდთა ნამსახურთა სახასოთ სადღეგრძელოდ საჰამოთ დადებულთა ართანელთა ყმებთა მას შინა, რომელ მთა და ბარი საზღვრებ შუა მომიცია აღმოსავლეთისკენ არს მიჯნა ხევი ლოპოტა და ანდარაზნის ხევამდი, დასავლეთით ჰიჰიქვის ზეგამდი და შინდიანის სერი ალაზნისკენ ჟონქლიანამდი და ჩრდილოეთით ლოქოფათის სერამდი ამ ოთხ მიჯნებ შუა გიბოძე ამაში მოდავე და მოძალე არავინ გაყოლოსთ.

რამაც კაცმან ამ ადგილში ან თავადმა ან აზნაურმა ან გარეშე პირთა ან სყიდვით ან საჩუქრობით მისცეს, იყოს იგი ქრისტეს გამსყიდავი და ქრისტეს მოღალატე, იყოს სჯული მისი ურია და ლორზე სალოცავი უმალ იყოს ედებოდეს კეთრი მეხისა შთაველ იუდას ძრწოლა კაენისთანა დანთქმა აბირონის იქმნების სახსენებელი მისი უკუნისამდე ქრისტეს პირისაგანაც წყეულ და შეჩვენებული იყოს ვინც ამის დაშლით ხელ-ჰყოს თათარმან ანუ სხვამან ვინმე ხოლო [illegible] ამისი [illegible] ეპყრობიან. სჯერათ, რომ ამ სიგელის შინაარსი ქვაზე იყო დაწერილი და ეკლესიის გუმბათში იყო ჩატანებული, იქიდან ამოიღეს და მიწაში დამარხეს ეს დაწერილი ქვაო.

სანიორეში 30 მარტს კიდევ შეიყარა გლეხობა ართანისა, სანიორესი და ნაფარეულისა. კრებაზე უკანასკნელად მიიღეს შემუშავებული მოთხოვნანი, გადაწერინეს და ამ ქაღალდით გაემართნენ ართანისაკენ. თავ. ყარალიშვილების სადგომიდან ხალხი შორი-ახლო გაჩერდა და 7 ამორჩეული კაცი გაუგზავნა თავ. ყარალაანთ, ამ მოთხოვნებაზე ხელი მოგვიწერეთო. როცა ართანელებს ხელი მოაწერინეს, ხალხი ბაირაღით და სიმღერით გაემართა სანიორესაკენ, აქ მთელი ხალხი ყიჟინით შევიდა თავ. გ. ავალიშვილის ეზოში და მოითხოვა ხელის მოწერა. იმანაც მოაწერა. მოთხოვნილებანი ისეთივეა, რაც სხვაგან. **ნადიკვრელი.**

---

**ქ. ოზურგეთი.** ორ აპრილს აქ დაბანაკებულ ჯარის უფროსი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ას ორმოცდა ათიამდე სალდათით სამეგრელოსაკენ გაემგზავრა. ამ ერთის კვირის განმავლობაში აქ, ოზურგეთში, და, საზოგადოდ, გურიაში, თვალსაჩინო არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ პირველ აპრილს, მოედანზე სეირნობის დროს, გენერალ ალიხანოვის ბრძანებით შეიპყრეს და ადგილობრივ საპყრობილეში დააპატიმრეს აქციზის მოხელეთ ყოფილი გიორგი მამულაიშვილი. ორი ადგილობრივი მცხოვრები გაჩხრიკეს.

28 მარტს ჯარმა ზარბაზნებიც გამოიტანა (სულ ექვსია) და ისე აიარ-ჩაიარა ბაზარში

---

# ფელეტონი

## ეკლესია და მისი თავისუფლება

წინასიტყვაობის მაგიერ. — სინიდისის თავისუფლება. — ეკლესია. — ეკლესია და სახელმწიფო.

თანამედროვე ისტორიულმა მომენტმა ბევრი საჭირბოროტო საკითხი წამოუყენა ჩვენს საზოგადოებას. ამ საკითხთა შორის არა მცირედი ადგილი უკავია ეგრედ წოდებულს სარწმუნოებრივს ხელ-შეუხებლობას ანუ სინიდისის თავისუფლებას. ამ ზოგადო საკითხის ნაწილს შეადგენს ეკლესიის თავისუფლებაც, რომელიც დღეს თითქმის ყველა ქართველს აკერია ენაზე, თუმცა, დარწმუნებული ვართ, ასს კაცში ერთსაც არ ექნება რიგიანად გათვალისწინებული ამ საგნის ისტორიულ-უფლებრივი საფუძველი და მნიშვნელობა.

ჩვენის წერილის აზრია—მკითხველ საზოგადოებას გააცნოს, თუ რას წარმოადგენს ეკლესია უფლებრივის მხრით და როგორს ურთიერთობას მოითხოვს იგი სახელმწიფოსაგან.

ქრისტიანობრივ სარწმუნოების დამაარსებლებმა ორი უმთავრესი პრინციპი წამოაყენეს: პირველი—სრული განცალკევება ზნეობრივ-სარწმუნოებრივ სფეროსა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სფეროსაგან და მეორე—სარწმუნოებრივ საქმეებში საღმრთო კანონებისა და სინიდისის უპირატესობა სახელმწიფო კანონების წინაშე.

მაგრამ ამ პრინციპთა ისტორიულ-უფლებრივი მნიშვნელობა და სიდიადე რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, საჭიროა ჯერ მოკლედ გავითვალისწინოთ, თუ როგორს მდგომარეობაში იმყოფებოდა საზოგადოდ სარწმუნოება რომის იმპერიაში, როდესაც იქ პირველად გაისმა ძლიერი ხმა ქრისტეს მოციქულებისა, პირველად გამოცხადდა ქრისტიანობრივი მოძღვრება და ეკლესია.

დადგა თუ არა იმპერატორების ეპოქა, რომელსაც თან მოჰყვა ქვეშევრდომთა თავისუფლების და აზრთა დამოუკიდებლობის სრული ჩამოქვეითება, გამრავლდა ჯაშუშობა, გაიძვერობა, უფროსების ფეხთა-ლოკვა და უმცროსთა ფეხ-ქვეშ თელვა, გავრცელდა მლიქვნელობა, მანკიერი ზნეობა და დესპოტიზმი,—შესაძლო შეიქნა შემდეგ მდგომარეობის დამყარება. რომის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ თავის სახელმწიფოში აბსოლიუტური ერთ-მთავრობა შეენახათ და გაეძლიერებინათ, სხვათა შორის, ერთს უკიდურეს საშუალებას მიმართეს: თვით იმპერატორები შემოსეს ღვთაებრივის პატივისცემით, მიუძღვნეს ტიტული „ავგუსტოსისა“ (უწმინდესისა), იუპიტერის მოადგილედ დასახეს და „იმპერატორთა კულტი“ აღიარეს ყველა ქვეშევრდომთათვის სავალდებულო რელიგიად, მთელს იმპერიაში.

იმპერატორი ერთსა და იმავე დროს ღმერთის მოადგილეც იყო და უდიდესი მღვდელ-მთავარიც (Pontifex Maximus), სიკვდილის შემდეგ-კი უსათუოდ ღმერთების სიაში ეწერებოდა. აქ სარწმუნოება პოლიტიკასთან იყო შეერთებული და პოლიტიკა სარწმუნოებასთან, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა: რელიგიის მოსამსახურენი იგივე სახელმწიფო მოხელეები იყვნენ, ქურუმები-კი მხოლოდ თანაშემწის როლს ასრულებდნენ; კანონმდებლობა სარწმუნოების შესახებ, მმართველობა და სამართალი სარელიგიო საქმეებში იმავე სახელმწიფო მოხელეებს ეჭირათ; კულტისათვის საჭირო ნივთიერი საშუალებანიც იმავე სახელმწიფოს ხელიდან გამოდიოდა, სახელმწიფო ბიუჯეტის სტატიას შეადგენდა.

თუ რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამგვარ მდგომარეობას ქვეშევრდომთა რწმენის თავისუფლებისათვის, თუ რა სასტიკად უნდა შეხებოდა მას ადამიანის უძვირფასესი საუნჯე—სინიდისი და მისი თავისუფლება, ამის შესახებ რომის იმპერატორები დიდად თავს არ იტკენდნენ, ან უკეთ რომ ვთქვათ, მათის აზრით, სხვათა შორის, სწორედ ამნაირი შევიწროება შეადგენდა: რომის იმპერიაში ყველაფერი ამ თვითმპყრობელთა განუსაზღვრელს ბატონობას ემორჩილებოდა, ქვეშევრდომთა რწმენა და სინიდისიც, რასაკვირველია, მათი ყურ-მოჭრილი მონა უნდა გამხდარიყო. მოკლედ რომ მოვჭრათ, რომის იმპერიაში სარწმუნოების თავისუფლება არ იცოდა.

აი, როგორს მდგომარეობაში იყო ადამიანის წმინდათა-წმინდა მხარე, მისი უღრმესი შინაგანი სოფლით, როცა პირველად გაისმა მაცხოვრის ქადაგება, პირველად აღსარებულ იქმნა პრინციპი სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ სფეროთა განყოფისა.

რომის იმპერატორთა განუსაზღვრელ დესპოტიზმს ქრისტეს მოძღვრებამ წინ წამოუყენა პიროვნების განუსაზღვრელი უფლებანი, კაცის შინაგანი სოფლით, მისი რწმენისა და სინიდისის შეუზღუდველი თავისუფლება. მართალია,—ამბობს ეს მოძღვრება,—რომ ყოველი კაცი თავის გარეგან მდგომარეობით უსათუოდ რომელსამე ხალხს ან სახელმწიფოს ეკუთვნის, რომლისამე სახელმწიფოს წევრია; ამ მხრით და ამდენად იგი ამ სახელმწიფოს ემორჩილება და უნდა დაემორჩილოს: „მიეცით კეისრისა“. მაგრამ, ამასთანავე, ყოველ ადამიანს აქვს მთელი შინაგანი სოფლით, საკუთარი რწმენა და სინიდისი. ეს მხარე კი სავსებით კერძო მორალურსა და სარწმუნოებრივ სამთავროს ეკუთვნის; აქ მოქმედობს კერძო პირის თავისუფალი სინიდისი.

ასეთია თავისუფლების პრინციპი, რომელზედაც მაცხოვარმა თავისი ეკლესია დააფუძნა. ახლა ვიკითხოთ: რას წარმოადგენს ეს ეკლესია თავისთავად უფლებრივის მხრით და რით განსხვავდება იგი სახელმწიფოსაგან?

მორწმუნეთათვის ეკლესია არის თავისუფალ წევრთაგან შემდგარი სარწმუნოებრივი კავშირი, რომელშიაც და რომლის საშუალებითაც კაცთა შორის თანდათან ხორციელდება „ღმრთის სასუფევლის“ დედააზრი, ე. ი. ადამიანს ეძლევა ძალა და საშუალებანი ზნეობრივ სისრულის მისაღწევად და ღმერთთან ერთობის გამოსახატავად. ეს კავშირი, როგორც თავის მიზნით, ისე შინაგანის წყობილებით, კანონმდებლობით, გამგეობით და სამართლით, წარმოადგენს სახელმწიფოსაგან განსხვავებულს და დამოუკიდებელს საზოგადოებას.

მიზანი, ქრისტეს ეკლესიისა განსხვავებულია სახელმწიფოს მიზნისაგან. მაშინ როცა ამ უკანასკნელის განსაკუთრებულ საზრუნავს ქვეშევრდომთა (და ისიც არა ყოველთვის ყველა ქვეშევრდომთა) ქვეყნიური კეთილდღეობა, მათი ქონებრივ და საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა განწესრიგება და ამის შესაფერ სწავლა-განათლების მიწოდება შეადგენს,—ეკლესიის პირდაპირი დანიშნულება ყველა თავის წევრთა შინაგან, ზნეობრივ და სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მათი ზნეობრივ-სარწმუნოებრივი აღზრდა არის და იქნება.

საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა სფეროში ეკლესიის მოვალეობაა: ძალდაუტანებლად ხალხს სიმართლე ამცნოს და ჭეშმარიტება არ დამალოს, გავლენა კი მორწმუნეთა სინიდისსა და ნებელობაზე ჰქონდეს.

უზენაესი გამგეობა, კანონმდებლობა და სამართალი ძველად საეკლესიო კრების ხელში იყო. ამ კრებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც სასულიერო იერარქიის პირნი, ისე მორწმუნეთა წარმომადგენელნიც, ერის-კაცთაგან. ასეთი იყო, მაგალითად, პირველი სამოციქულო კრება იერუსალიმში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს არა მარტო „მოციქულებმა და ხუცებმა“, არამედ იერუსალიმის ეკლესიის „ძმებმაც“, ე. ი. ხალხის წარმომადგენლებმა.

და მახლობელ სოფლებში. სხვაფრივ სიწყნარეა. არც ხალხში და არც ჯარის მხრივ არავითარი უწესოება არ მომხდარა. პირიქით, მუდამ სამხედრო მუსიკა უკრავს. მაგრამ ხალხი ახლოს არ ეკარება. გაზეთებში მოხსენებული ამბავი, ვითომ გურიაში დამწვარ ხის სასამართლოების მაგიერ ქვისას აშენებდნენ, მართალი არ არის, რადგან არ ყოფილა მაგალითი, რომ გურიაში როდისმე სასამართლოები დაეწვათ, ან რაიმე უწესოდ დაენგრიოთ და გაენადგურებინოთ. **სილია.**

—

**კონდოლი** (კახეთი). 27 მარტს სოფლის საზოგადოებამ კრებაზე უკანასკნელად გამოარკვია თავისი საჭიროებანი და ასე შემუშავებული მიიღო. სხვათა შორის, მოხსენებულია: დროებით ვალდებულობა ამიერიდან ნულარ იქნება: გლეხთ მიეცეთ მიწები, რომლებიც ჩამოართვეს ბატონებმა; დაუბრუნდეს გლეხებს ფული, რაც მათ განთავისუფლებისათვის გადაახდევინეს, ამ ფულიდან და სამალაზიო ფულიდან შესდგეს თანხა სოფლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; მოისპოს ყოველ გვარი ბაჟები და სხვა.

ეს მოთხოვნანი წარუდგინეს თავადთ და აზნაურთ კონდოლში, რომელთაც ხელი მოაწერეს. იგივე ხალხი გაემართა კისისხევში, სადაც სახლობს თავ. ქობულაშვილი. თავადები შინ არ იყვნენ, თელავში „კახეთის“ საზოგადოების კრებაზედ დასასწრებად წასულიყვნენ. დაბრუნებამდის ხალხს მცირე რამ უწესოება მოეხდინა, რადგან, ჰგონებოდა შინ არიან და არ გამოდიანო. ამასობაში თავ. ქობულაშვილი კრებიდან დაბრუნებულიყო და ხელი მოეწერინებინათ.

იმავე დღეს კიდევ მისულიყვნენ კერძო მემამულესთან, რომელსაც სახელმწიფო ბანკისაგან უყიდნია თავ. ზაქარია ვახვახიშვილის მამული და შიგ წესიერი მეურნეობა დაუწყია. არც ეს მემამულე დახვედრიათ შინა. აქაც ფანჯრები ჩაუმტვრევიათ.

—

**სოფ. წინანდალი** (კახეთი). 30 მარტს შეიყარა ს. ბუშეტი, გახთა, ქვემო ხოდაშნის და წინანდლის გლეხობა. ყრილობამ შეიმუშავა და მიიღო თითქმის ისეთივე მოთხოვნანი, როგორიც კონდოლის საზოგადოებამ. ამ მოთხოვნაზედ ხელი მოაწერინეს მემამულეებს. მერე შევიდნენ კანცელარიაში, გამოუცხადეს მამასახლისს, რომ წაეღო ყველა ქაღალდები აქედან, ხოლო პასპორტის დავთარი თითონ შეენახა, რომ პასპორტი მისცემოდა მთხოვნელს, სხვა-კი ბოქაულისთვის დაებრუნებინა.

# ახალი ამბავი

◆ ოთხს აპრილს, საღამოს რვა საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის მემანქანეებმა და მათმა თანაშემწეებმა **თავი გაანებეს მუშაობას და გაიფიცნენ.** აუარებელმა მემანქანემ და თანაშემწემ მოიყარა თავი ტფილისის სადგურზე. ოთხ აპრილის საღამოს რვა საათიდან არ გაუშვიათ არც ერთი საქონლის მატარებელი. არ გაუშვეს სახალხო მატარებელი, ბაქოში მიმავალი (№ 18) და საფოსტო მატარებელი, მიმავალი ყარსისაკენ (№ 75). ფოსტა ისევ უკან დააბრუნეს. შეაჩერეს აგრეთვე სამხედრო მატარებელი, რომელსაც ყვირილიდან კარაკლისს მიჰყავდა ასი ყაზახ რუსი და აფიცერი. დღესაც გაჩერებულია ტფილისის სადგურზე. 5 აპრილს არც ბაქოსა, არც ბათუმისა და არც ყარსისკენ არ წასულა საფოსტო, სამხედრო და საქონლის მატარებლები, რადგან არც ერთი მემანქანე არ გამოცხადებულა სამსახურში.

◆ გუშინ, 5 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა **რესტორანებისა, ტრაქტირებისა და სამიკიტნო დუქნების პატრონების კრება.** თუმცა 2000 კაცამდე დაესწრო, მაგრამ წესიერება არ დარღვეულა. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ კრებამ მოითხოვა პოლიციელნი წასულიყვნენ დარბაზიდან. შემდეგ ლაპარაკი იყო კვირა-უქმეობით რესტორანებისა, ტრაქტირების და სამიკიტნო დუქნების დაკეტვის შესახებ. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ მიიღო წინადადება კვირა-უქმეობით ვაჭრობის მოსპობის შესახებ. შემდეგ კრებამ დაადგინა, ზაფხულობით დუქნები, რესტორანები და სხვა სავაჭრო სახლები გაიღოს დილის 6 და დაიკეტოს საღამოს 10 საათზე, ხოლო ზამთრობით გაიღოს დილის 7 და დაიკეტოს საღამოს 10 საათზე. მსახურებს სასადილოდ უნდა მიეცეთ დღეში 1 საათი. ვაჭრები ჩიოდნენ, ბევრი ხარჯი გვაქვსო. სხვათა შორის უჩიოდნენ პოლიციასაც: როცა სურთ, შემოუხვევენ და ბრძანების კილოთი გვეუბნებიან: აბა „ნალივაი“-ო, ბოქაულებს სადღესასწაულოდ უნდა ბატკანი მივართვათ და დუქნების გაღების დროს ხომ ათასი დავიდარაბა უნდა გამოვიაროთ. ოთხ-ხუთ ადგილას თუ ხელბარაქიანად არ მივედით, როგორ შეგვიძლიან ნებართვის აღება და სხვ. კრებამ დაადგინა, ჩვენის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებლად საჭიროა მოისპოს პატენტის ფული და სატრაქტირო გადასახადი, პოლიციელებს ერთი წვეთი არც არაყისა, არც ღვინისა უსასყიდლოდ არავინ არ უნდა მიაწოდოსო. მოისპოს აგრეთვე დუქნების გაღების დროს აქტებზე ბოქაულების მიერ ხელის მოწერა, რაც მეტად გვავიწროებსო. კრებამ გამოთქვა აგრეთვე სურვილი საერთო კასის შედგენისა, საიდანაც დახმარება უნდა გაეწიოთ შეუძლოთ. ტაშის ცემით მიეგება საზოგადოება იმ დადგენილებას, რომ მოისპოს ყოველივე კავშირი მოიჯარადრეებსა და შუაკაცებთან. დასასრულ, კრებამ ამოირჩია ოცი კაცი, რომელთაც თვალყური უნდა ადევნონ ვაჭრების მიერ ამ დადგენილებათა ასრულებას.

◆ ბაქოს, ჰაჯიკაბულს, განჯასა და სხვა სადგურებზე **ისევ გაფიცულნი არიან ყველა მოსამსახურენი.** მატარებლების მიმოსვლა და ყოველივე ოპერაცია ეხლაც შეჩერებულია.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის მემანქანეთა** უფროსმა შეატყობინა ბაქოს და ტფილისის დეპოს უფროსებს: გამოუცხადეთ მემანქანეებს, ვინც სამსახურის ასასრულებლად არ გამოვა, დაუყოვნებლივ სამსახურიდან იქნება დათხოვნილიო.

◆ ეს მეოთხე დღეა **ოფიციალური გაზეთი „კავკაზ“-ი** არ გამოსულა, რადგან მთავარ-მართებლის სტამბის ასოთ-ამწყობნი გაიფიცნენ. სტამბის შესავალ კარებში გაკრული იყო განცხადება: ვინც 5 აპრილიდან მუშაობას არ განაახლებს, სამსახურიდან დათხოვნილი იქნებაო. მიუხედავად ამისა 60 ასოთ-ამწყობიდან სტამბაში მივიდა 2 კაცი. მთავარ-მართებლის კანცელარიამ სტამბაში მუშაობის შეწყვეტის ამბავი დეპეშით აცნობა პეტერბურგს.

◆ „ტიფ. ლისტ.“-ში ვკითხულობთ: „ტფ. გუბერნიის **თავად-აზნაურთა ერთმა** წრემ გადასცა გუბერნიის მარშლის მოადგილეს პროტესტი იმის გამო, რომ ნება დაერთო თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე დასწრებისა ისეთ პირთ, რომელთაც ცენზი არა აქვთ, თუმცა სათათბირო ხმის უფლება-კი აქვთ. თავად-აზნაურთა კრება გადაიდო ამ პროტესტის განხილვამდე“. თუ ეს ამბავი მართალია, სწორედ გასაოცარია თავად-აზნაურთა ამ ერთი წრის საქციელი!..

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა ქალაქის მხრივ პეტერბურგში გაგზავნილ დეპუტატებისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „დღეს, მნახველთა მიღების დღეს, ვიყავით შინაგან საქმეთა მინისტრს გოფმეისტერს ბულიგინთან. მინისტრმა არ შეიწყნარა ჩვენი, ბაქოელთა და ერევნელთა შუამდგომლობა, რომ ცალკე დღე დაგვინიშნოს მისაღებად და მოსალაპარაკებლად. როდესაც ჩვენი მოხსენება მოისმინა, მინისტრმა გამოგვიცხადა, რომ თვით ხელმწიფე-იმპერატორი გადასწყვეტს, ვინ იქნებიან და ვინ არა იმ კომისიაში, რომელიც ჩემის თავმჯდომარეობით შესდგება. კომისია მრავალ-რიცხოვანი არ იქნება, მაგრამ, რადგან თქვენი კუთხე ბევრით განსხვავდება, კომისიაში მოწვეულ იქნებიან ამიერ-კავკასიის ქალაქების წარმომადგენელნიც, თუ ყველა არა, ზოგიერთნი მაინცაო“.

◆ საკონდიტროების მომუშავეებმაც თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს კანდიტრების პატრონებს. თხოულობენ 8 საათის სამუშაო დღეს, დილის 7 საათიდან საღამოს 4 საათამდე. შეგირდებს მიღებისთანავე უნდა მიეცეთ 5 მან. ჯამაგირად. კვირა-უქმე დღეებში 4 საათის მეტი არ იმუშაონ, განთავისუფლებულ იქმნენ შეგირდები სამსახურს გარეშე საქმეებისაგან და სხვა.

◆ 5 აპრილს ტფილისის რესტორანებისა და სამიკიტნოს ვაჭრებმა განიხილეს და უცვლელად მიიღეს ამ დაწესებულებებში მოსამსახურეთა **საერთო მოთხოვნილებანი.**

◆ რედაქციაში მიიღო ღარიბ მოსწავლის ა. აბანაძის სასარგებლოდ მანეთ ნახევარი, 1 მ. —ნ. ნ.—საგან და 50 კ.—ბ. გ.—საგან. აბანაძეს ჰყავს უმცროსი და, რომელიც ქუთაისში სწავლობს ქალთა გიმნაზიაში, მაგრამ სწავლის ფული ვერ შეუტანია.

◆ თამბაქოს ქარხნის „მირ“-ის **მუშებმაც წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი ქარხნის პატრონს.** უმთავრესი ამ მოთხოვნილებებში სამუშაო ფასის მომატებაა. მომატებას თხოულობენ ყველა დარგის მუშებს. ამას გარდა თხოულობენ: ავადმყოფობის დროს ნახევარ ჯამაგირის მიცემას, ექიმობას ქარხნის პატრონის ხარჯით, იმისავე ხარჯით გარდაცვლილ მუშების დასაფლავებას, მუშების არ დათხოვნას (დამნაშავე მუშას ჩვენ თვითონ დავსჯითო), ნახევარ საათით დაგვიანებულთა არ დაჯარიმებას და ამას წინად დათხოვნილ სამ მუშის უკანვე მიღებას.

◆ დღეს, 6 აპრილს, ვეტცელის თეატრში დანიშნულია **წარმოდგენა დიდად ნიჭიერ არტისტის ვასილ აბაშიძის სასარგებლოდ.** წარმოდგენილი იქნება სამი მხიარული ვოდევილი „უბედური დებიუტი“, „ბიძიასთან გამოხუმრება“ და „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა“. დასასრულ გაიმართება კონცერტი-დივერტისმენტი. მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა ქართველი არტისტები და მომღერლები ბ-ნი ტომაშევიჩი, ალექსი-მესხიშვილი და სხვანი.

◆ **გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებას,** გაზეთების სიტყვით, 23 მარტს დეპეშით უთხოვნია პეტერბურგში მყოფ ეპისკოპოს დიმიტრისათვის, 5 მარტისთვის ნება მოგვეცით სამღვდელოების კრება მოვიწვიოთო, მაგრამ უარი მოსვლია. ეხლა ასეთისავე თხოვნით სამღვდელოებას ექსარხოსისათვის მიუმართავს.

◆ სად. ნიგოითი. 4 აპრილს საღამოს ხუთ საათზე, როდესაც სადგურიდან სახალხო მატარებელი დაიძრა, ვაგონის პლატფორმიდან გადმოვარდა მღვდელი დოლიძე და ვაგონის თვლებმა მარცხენა ფეხი დაუშავა.

◆ სად. ბორჯომი. მე-4 ვერსტზე, 4 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ჩამოწვა კლდის ზვავი, 1200 კუბიკური საჟენი; გზა შეიკრა დილის 7 საათამდის, სანამ გასწმინდნენ ლიანდაგს.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ნატანები**, 5 აპრილი. დღეს, შუადღეზე, ბათუმში გაძარცვეს როტშილდის ბუხჰალტერი. ბოროტ-გამზრახველნი გაიქცნენ.

# ქუთაისის ახალი ამბავი

◆ ერთი ახალი განცხადება კიდევ. ქუთაისის პოლიცმეისტერი აცხადებს, რომ პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი ქუთაისის დაკეტილ სასწავლებლებიდან გამოსული მოწაფენი, რომელნიც მთავრობის მიერ დამტკიცებულ ფორმის ტანისამოსში ივლიან ქალაქშიო. განცხადება აპრილის 2-ის თარიღით არის გამოქვეყნებული. საქმე ისაა, რომ თვით გენერ.-გუბერნატორის მიერ იყო ამას წინად გამოცხადებული—სასწავლებლები ახალ განკარგულებამდის დახურული იქნებაო. ამ რიგად სასწავლებლების დახურვის ამბავი დროებითია და გამორიცხულად არ უნდა ითვლებოდნენ მოწაფენი და შესაფერ ფორმის ტარების ნებაც ჰქონდეთ.

◆ გურიიდან ჩამოსულ თავად-აზნაურთა რიცხვი ცოტად შემცირდა ჩვენს ქალაქში, მაგიერად ახლა უფრო ხშირად ზემო-იმერეთისა და სხვა მაზრების თავად-აზნაურებსაც შეხვდებით. გამოგვერეკეს, არ დაგვასვენესო, აღარ დაგვედგომება ჩვენს სახლშიო—ყველანი ერთსა და იმავეს ჩივიან.

◆ აქაურ საზოგადოების „კოლხიდის“ საქმეებს პატარად დაკენკავს წლევანდელი ბამბის წარმოება. წლევანდლამდის როგორც სხვა და სხვა გვარი წარმოება, ისე ბამბის საქმეც მარჯვედ მიდიოდა. მაგრამ წელს ორმა გარემოებამ შეუშალა ხელი ნამეტნავად ბამბის წარმოების საქმეს. პირველი ისაა, რომ ამერიკაში დიდძალი მოსავალი ყოფილა ბამბისა და ამ ბატონს ბაზრისას ძალიან დაუწევია ფასები და მეორე რუსეთში ქარხნების მუშაობის შეჩერებამაც შესამჩნევად შეამცირა ბამბის მოთხოვნილება. საზოგადოებას იმედი აქვს, რომ სხვა დარგის წარმოებით შეავსებს ამ არც ისე დიდს ზარალს.

# ტფილისის ქალაქის საქმეები

4 აპრილი

ამ საღამოს საბჭომ თითქმის ვერაფერი გააკეთა, თუმცა ლაპარაკი ბევრი იყო. ჯერ ლაპარაკი ჩამოვარდა ხორცის დუქნების გამგედ ნამყოფის ბევავაქოვისა და ხმოსან სვეჩნიკოვს შორის ატეხილ საჩივარზე, მერე ხმ. ქარანოვზე, რომელიც ამხანაგებმა ხორცის დუქნების კომისიიდან გამორიცხეს. გამორკვევით არაფერი არ გამორკვეულა.

ბოლოს შეეხნენ შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხს. როგორც ვიცით, მინისტრმა უკან გამოუგზავნა დეპეშა ქალაქს, რომელიც თხოულობდა, ნება მიეცეთ ტფილისის წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ ბულიგინის კომისიაშიო. ხმ. ბაბოვმა სთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა ფორმალურად შეხედა, საქმეს, მან ჩვენს შუამდგომლობას არავითარი ყურადღება არ მიაქცია მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთ დიდ საქმის შესახებ ჩვენ ფორმალისტობას გვერდი აუხვიეთ. მინისტრს შეეძლო არსებითად ჯერ ჩვენი თხოვნა შეესრულებინა და შემდეგ შეენიშნა, რატომ ქალაქი ჯერ საგუბერნიო მთავრობას არ გაუგზავნიაო, კიდევ პროტესტი უნდა განვაცხადოთ ბიუროკრატიულ რეჟიმის წინააღმდეგ. ჩემის აზრით, კარგი იქნება საბჭომ შემდეგი რეზოლიუცია მიიღოს: ტფილისის ქალაქის საბჭომ მოისმინა პასუხი შინაგან საქმეთა მინისტრისა და თავის მწუხარებას აცხადებს, რომ მან ტფილისის საბჭოს შუამდგომლობა იმ მოსაზრებით, რომ უბრალო ფორმალური წესი არ იყო შესრულებული, უყურადღებოდ და უპასუხოდ დასტოვა. ქალაქის საბჭო იძულებულია პროტესტი გამოაცხადოს აქამდე კიდევ არსებულ ბიუროკრატიულ რეჟიმის წინააღმდეგო. დიდხანს ილაპარაკა ხმ. ი. დოლუხანოვმა. იგი ამტკიცებდა, რომ ქალაქს 18 თებერვლის რესკრიპტის ძალით შეეძლო პირდაპირ მინისტრისთვის მიემართნა. ჩვენ უნდა პროტესტი განვაცხადოთ, ისე როგორც სხვა ქალაქებმა. ჩემის აზრით, საბჭომ უნდა მიიღოს შემდეგი წინადადება: ტფილისის ქალაქის საბჭო სცნობს, რომ მინისტრის მოწერილება სრულიად არ შეესაბამება 18 თებერვლის უმაღლეს რესკრიპტის აზრს, რომლითაც ნება აქვთ ყველა დაწესებულებას და კერძო პირს პირდაპირ უმაღლეს მთავრობას მიმართოს სახელმწიფოს რეფორმების საკითხების შესახებ. თავმჯდომარემ კენჭი უყარა როგორც ბაბოვისა, ისე დოლუხანოვის წინადადებას. საბჭომ მიიღო ხმ. ბაბოვის წინადადება. ერთხმად კი მიიღო ხმ. დოლუხანოვის მიერ შემუშავებული რეზოლიუცია, რომელიც შეუერთდება ბაბოვის წინადადებას.

ამავე კრებაზე საბჭომ მიიღო საბოლოოდ შემუშავებული პირობები ციციანოვის აღმართზე ელექტრონის ტრამვაის გაყვანის შესახებ. უსახელო საზოგადოებამ 30,000 მან. უნდა მისცეს ქალაქს ციციშვილის კლდის გასამაგრებლად. ძალიან გულდაწყვეტილები წავიდნენ ნაძალადევლნი და მეეტლენი, რომ საბჭომ ამ საღამოთი მათი საქმე არ განიხილა.

# რუსეთის ქრონიკა

**დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის მკვლელი,** ივანე კოლიაევი მამით რუსი ყოფილა და დედით პოლონელი. დაიბადა ვარშავაში 1877 წელს; მამა რომელიღაც სავაჭრო ფირმის აგენტი იყო აქ და აქვე მოკვდა 1898-ში; დედა დღესაც ცოცხალია და ამიტომაც კოლიაევმა კარგად იცის პოლონური ენა. 1902 წელს ივანე კოლიაევი გალიციაში—ლვოვში—ყოფილა და იქ ცხოვრობდა ღარიბად: სთარგმნიდა რუსულიდან პოლონურად, დახმარებას სთხოვდა ლვოვის სტუდენტების წრეებს, სცდილობდა უნივერსიტეტში შესვლასაც. ერთ პოლონურ გაზეთის რედაქტორმა წინადადება მისცა კოლიაევს, წერილები ეწერა რუსეთის საქმეებზე, მაგრამ კოლიაევს უარი უთქვამს—საკმაო ცნობები არა მაქვსო. კოლიაევი გამხდარი, სუსტი კაცია და სრულიად არა ჰგავს ტიპიურ რუსის რადიკალსო, უთქვამს ხსენებულ რედაქტორს. 1902 წლის შემდეგ კოლიაევი ვარშავაში დაბრუნებულა და მიცკევიჩის ძეგლის კურთხევას დასწრებია როგორც მოსკოვურ „კურიერ“-ის კორესპონდენტი. („ნოვ.“).

**„სტაროობრიადცების“ მილიარდი.** მინისტრთა კომიტეტმა ერთ-ერთ სხდომაზე პრინციპიალურად გადასწყვიტა—მიეცეს სტაროობრიადცებს თავისუფლება თავის სარწმუნოების აღსარებისათ. ამ გადაწყვეტილებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სტაროობრიადცებ შორის და განუზრახავთ შეჰკრიბონ თავიანთ შორის ერთი მილიარდი მანეთი სამხედრო საჭიროებისათვის და ასესხონ მთავრობას უსარგებლოდ განსაზღვრულის ვადით. („რუს.“).

**პროფესორების თათბირი პეტერბურგში.** 25 მარტიდან 28-მდე პეტერბურგში თათბირი ჰქონდათ რუსეთის ყველა მაღალ სასწავლებელთა პროფესორების წარმომადგენლებს. ყოველ ფაკულტეტიდან ორი წარმომადგენელი იყო; სულ 200 კაცი შეიკრიბა. შემუშავებულ რეზოლიუციას მთავრობასაც კი არ წარუდგენენ, დაბეჭდავენ და საყოველთაოდ გამოაცხადებენ.

სტუდენტების გაფიცვის გამო თათბირზე იმ აზრისა იყვნენ, რომ, თუმცა ასეთი გაფიცვა, როგორც იარაღი პოლიტიკურ ბრძოლისა, მისაწონი არ არის, უნივერსიტეტების მეცადინეობა შეუძლებელია, სანამ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება კალაპოტში არ ჩადგება და სასწავლებლები უზრუნველყოფილი არ იქნებიან რეპრესიებისაგან; ეხლანდელ პირობებში სწავლის დაწყება

---

კრების შემდეგ საეკლესიო საქმეებს განაგებს **იერარქია,** რომლის ყოველ წევრს ირჩევდა ხალხი, ან სამღვდელოება და ხალხი, ხოლო ამტკიცებდა „ხელ-დასხმით“, ე. ი. აკურთხებდა ეპისკოპოსი (მღვდელსა და დიაკონს) ანუ მღვდელმთავართა კრება (ეპისკოპოსს). ამ კრებას შეეძლო ხალხის არჩევანი არ დაემტკიცებინა, მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს რუსის ცნობილი კანონისტი—პავლოვი, „ნება არა ჰქონდა ხალხისათვის სასულიერო მწყემსი ნაძალადევად გაემწესებინა“. ეკლესიის მართვა-გამგეობა ორნაირად სწარმოებს: სწავლა-მოძღვრებით, ე. ი. სიტყვითა და ქადაგებით, და საიდუმლო მღვდელ-მოქმედებათა შესრულებით; ამას გარდა საეკლესიო იერარქიას (მღვდლებსა და მღვდელმთავრებს) უზენაესად მინიჭებული აქვთ უფლება „შეკვრისა და განხსნისა“, ე. ი. სრული ზნეობრივი იურისდიკცია მორწმუნეთა შესახებ.

ასეთია საეკლესიო სამართალი და გამგეობა. როგორც ერთი, ისე მეორე სრულიად განსხვავებულია საერო (სახელმწიფო) გამგეობისა და სამართლისაგან. მაშინ როცა ეს უკანასკნელნი უმეტეს ნაწილად იძულების (принужденіе) პრინციპზე არიან დამყარებულნი,—პირველნი უმთავრესად წმინდა ზნეობრივს, ქრისტიანულ სიყვარულის თავისუფალ პრინციპს მისდევენ. იქ მოქმედებს ფიზიკური და ქონებრივად დასჯის შიში, აქ-კი წმინდა ზნეობრივი ავტორიტეტი. იქ მამოძრავებელია ფიზიკური და პოლიტიკური ძალა, აქ-კი მმართველის სიტყვა, ზნეობრივი გავლენა და მორწმუნეთა საკუთარი შეგნება. ასე ესმოდათ საეკლესიო მართვა-გამგეობის ხასიათი და მნიშვნელობა ქრისტეს მოციქულებს, ამავე აზრისა იყვნენ აღნიშნულ საგნის შესახებ საეკლესიო მამები და მასწავლებელნი.

უკანასკნელ, თუმცა ქრისტეს-მიერ დაფუძნებული საზოგადოება, ანუ ეკლესია, თავის პირდაპირი მიზნის მიხედვით და თვით მაცხოვრის სიტყვით, „არა ამის სოფლისაგანი არს“, მაგრამ ამ „სოფლად“ მაინც არსებობს; ხოლო რამდენადაც იგი ამ-ქვეყნად არსებობს, იმდენად საარსებო საშუალებანიც სჭირია; ამ ქვეყნად საარსებო საშუალებანი-კი—ქონებრივი საშუალებანია. და მართლაც ეკლესიის ისტორიიდან ვტყობულობთ, რომ მორწმუნეთა კეთილნებელობითი შეწირულებანი ერთ უმთავრეს წყაროს შეადგენდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც ეკლესიას სალოცავ სახლებისა და იერარქიის უზრუნველ-საყოფელად სჭირდებოდა. ამნაირ შეწირულობით სცხოვრობდნენ თვითონ ქრისტე და მისი მოწაფენი, ამნაირისავე შემწეობით იკვებებოდნენ მოციქულების პირველი სამწყსო იერუსალიმში; ამნაირსავე შეწირულებას ვხედავთ ჩვენ შემდეგს საუკუნეებშიაც. იერარქიის გარდა, საეკლესიო ხარჯით იკვებებოდნენ: ქვრივ-ობოლნი, მოგზაურნი, ქრისტესთვის დატუსაღებულნი და გადასახლებულნი; ამავე საშუალებით ეკლესია გამოისყიდდა ხოლმე ტყვეებს, არჩენდა ღარიბებს და შიმშილობის ან ომიანობის დროს შორეულ ეკლესიებსაც დახმარებას უწევდა. ასეთი იყო „საეკლესიო ქონება“, რომლის განკარგულებაც საეკლესიო იერარქიის ხელში იყო: მას განაგებდა მღვდელმთავარი, მღვდლებისა და დიაკვნების დახმარებით.

როგორც ვხედავთ, ეკლესია ამ მხრივაც სახელმწიფოსაგან სრულიად განსხვავებულს და დამოუკიდებელს ორგანიზმს წარმოადგენდა.

ამრიგად გავიგეთ, რას წარმოადგენდა ეკლესია უფლებათა მხრივ, როდესაც იგი პირველად შეებრძოლა რომის იმპერიას და თავისი მოქიშპე მძიმე საგონებელში ჩააგდო. არც თავის მიზნით და არც შინაგანის წყობილებით, გამგეობით და სამართლით ეს ახალი საზოგადოება არც ერთს მანამდე ცნობილს პოლიტიკურს დაწესებულებას არა ჰგავდა. იგი ეხებოდა და ეხება უმთავრესად ერთს განსაზღვრულს მხარეს ადამიანისას, მის შინაგანს—ზნეობრივსა და სარწმუნოებრივს სოფლით. მას საქმე აქვს ადამიანთან, როგორც მორალურ და სარწმუნოებრივ სუბიექტთან და არა როგორც პოლიტიკურ არსებობასთან; მისი და სახელმწიფოს მიზანი სხვა-და-სხვანაირია. რა თქმა უნდა, ამნაირად გაგებული, ეკლესია (სხვანაირად მისი გაგება კი ეკლესიის დედა-აზრის პირდაპირი დამახინჯება იქნებოდა) სახელმწიფოს მეტოქეობას ვერ გაუწევს, მის მიზანს თავის მიზნად ვერ გაიხდის და სახელმწიფოს მაგიერ თავის თავს ვერ წამოაყენებს. ეს ორი უდიდესი ორგანიზმი ერთმანეთს ვერ შეცვლის, რადგან სახელმწიფო მიისწრაფვის იმისთანა მიზნისაკენ, რომელსაც ეკლესია ვერასოდეს ვერ იტვირთებს და, პირიქით, ეკლესია ასრულებს იმნაირს დანიშნულებას, რომელიც სახელმწიფოს არ ეხება და არც ეკისრება.

ახლა ვიკითხოთ: აღნიშნულ პრინციპების მიხედვით, აქვს თუ არა საერო მთავრობას უფლება ეკლესიის საქმეებში ჩაერიოს, მისი კანონმდებელი გახდეს ან საეკლესიო გამგეობა იტვირთოს?

აი როგორს პასუხს იძლევა ამ ფრიად საგულისხმო საკითხის შესახებ თანამედროვე რუსის კანონისტი, პროფესორი ყაზანის სასულიერო აკადემიისა, ბ-ნი ბერდნიკოვი:

„საერო მთავრობის (государств. власть) დადგენილებას არ შეუძლიან საეკლესიო კანონის მნიშვნელობა იქონიოს. საერო მთავრობას, როგორიც გინდა იყოს იგი —ქრისტიანული, გინდ წარმართული, არ შეუძლიან, უფლება არა აქვს საეკლესიო კანონი გამოსცეს ანუ საეკლესიო რამ განაკარგულოს. ეკლესია კეისრის სამთავრო კი არ არის, ღმრთის სამთავროა... მას შემდეგ, რაც ქრისტეს ეკლესია დაარსდა, სახელმწიფოს მთლად და სამუდამოდ მოისპო უფლება სარწმუნოებრივ საქმეთა განკარგულებისა... ამიტომ, თუ ვინიცობაა საერო მთავრობამ ქრისტიანს ისეთი რამ მოსთხოვა, რაც ღვთის ნებას ეწინააღმდეგება, ამ შემთხვევაში ქრისტიანი თავისთავს ზნეობრივად მოვალედ ჩასთვლის ღვთის ნება აასრულოს, ხოლო სახელმწიფო განაჩენის ასრულებისაგან თავისი თავი ზნეობრივადვე თავისუფლად მიაჩნია“. *)

ამ პრინციპს ადგა ქრისტეს ეკლესია პირველ სამ საუკუნის განმავლობაში. ამავე პრინციპს ქადაგებს დღეს კათოლიკობის საუკეთესო ნაწილიც. ესევე პრინციპი შეიწყნარა ქრისტიანობის შესახებ რომის იმპერატორმა კონსტანტინე—დიდმა მედიოლანის ედიქტით, 313 წელს. შერჩა თუ არა ეკლესიას ეს პრინციპი ხელ-შეუხებლად შემდეგშიაც და, თუ არ შერჩა, სახელდობრ როგორი მიმართულება და ხასიათი მიიღო მან სხვა-და-სხვა ხალხებსა და სახელმწიფოებში,—ამის გამოკვლევას, რასაკვირველია, აქ ვერ გამოვუდგებით. მაგრამ, თუ როგორი სახე მიიღო აღნიშნულმა პრინციპმა ჩვენს სამშობლოში მას შემდეგ, რაც აქ ქრისტეს ეკლესია დამყარდა,—ამ საკითხს კი ვეცდებით მოკლეს დროში ცალკე წერილი ვუძღვნათ.

**ვალხამონი.**

---

*) И. Бердниковъ. Государств. положеніе религіи въ римско-визант. имперіи. ч. I, стр. 493—494. Казань. 1881 г.

ამას გარდა ჩვენი წერილის შედგენის დროს უმთავრესად შემდეგი ორი თხზულებით ვხელმძღვანელობდით: 1) Павловъ. объ участіи Мірянъ въ дѣлахъ церкви съ точки зрѣнія православно каноническаго права, (იხ. „Учен. Зап. Казанск. Унив. за 1866 г. стр. 490—525)—და 2) Масонъ. Девять словъ о свободѣ церкви и свободѣ совѣсти. Пер. съ нѣмецкаго. Ярославъ 1.828

არ შეეფერება პროფესორობის ღირსებას, ეს მეცნიერების პროფანაცია იქნება, რადგან იმ სტუდენტების პატარა ჯგუფს, რომელთაც სწავლის განგრძობის სურვილი გამოთქვეს, საერთო არა აქვს-რა მეცნიერებასთან.

აუცილებელია ეხლანდელ აკადემიურ წესწყობილების რეფორმა: უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს სრული ავტონომია, უნდა მოისპოს ინსპექცია და დამოკიდებულება უნივერსიტეტის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან.

პრინციპიალურად საჭიროდ იცნეს პროფესორების კავშირის დაარსება. (ნ. გ.).

# პრესსა

ამას წინად უკვე გავაცანით მკითხველებს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის დიმიტრის წერილი, „რუს“-ში დაბეჭდილი. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ეპისკოპოსმა დიმიტრიმ დასწერა, რომ ეპისკოპოსი კირიონი ნება-ყოფლობით გადავიდა რუსეთშიო. ეხლა „რუს“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი რედაქციის მიმართ ეპისკოპოსის კირიონისა:

„რუსის მე-74 ნომერში მოთავსებულია წერილი ეპისკოპოს დიმიტრისა, რომელიც გულმტკიენეულად მეც შემეხო. „საქვეყნო ეპ. კირიონმა,—ამბობს ეპ. დიმიტრი,—მადლობა გადაუხადოს ბ-ნ ნ. დ.—ს, რომელიც სწერდა, რომ ეპ. კირიონი უკანვე საქართველოში უნდა იქნას დაბრუნებულიო. ეპ. კირიონი ნებაყოფლობით და დაჟინებულის თხოვნით იქნა გადაყვანილი კავკასიიდან. ესეც არ იყოს, ახლა ხან ეპ. კირიონმა განუცხადა უმაღლეს სასულიერო მთავრობას, მტკიცედ გადაწყვეტილი მაქვს არასოდეს აღარ დავბრუნდე კავკასიაშიო“. თავის დამცირებად მიმაჩნია პასუხი გავცე ასეთ ცილის წამებას და ინსინუაციებს.

ორლოვისა და სევის ეპისკოპოსი კირიონი“.

⁂

„რუს“-ის იმავე ნომერში სამი წერილია კავკასიის შესახებ: ერთი ი. ა. ვერმიშევისა, ერთიც ბ. ტ—ოვისა და ერთიც ვიღაც უცნობისა. ვერმიშევი უჩივის ეგრედ წოდებულ „ნამდვილ რუსებს“, რომელნიც ამ თავის „ნამდვილ რუსობას“ მხოლოდ არარუსების დევნით ამტკიცებენ.

ბატონი ბ. ტ—ოვი გურულების მოძრაობას ეხება, აჭარბებს ვითომ გამეფებულ ტერორს, ახასიათებს იქ დამყარებულ ახალ სასოფლო თვით-მმართველობას და ასე თავებს თავის წერილს:

„პატარა, აქამდე უცნობი გურია ისე აპკვირვებს უცხო კაცს, რომ ამ მომხიბლველ მთებსა და მუდამ აწვანებულ ბაღებ შორის ზღაპრულ სამეფოში გგონია თავი. გაზეთის პატარა წერილში ვერ დასტევ იმის მეათედსაც, რასაც აქ ნახავ და გაიგონებ რამდენიმე დღის განმავლობაში. სამწუხაროა, რომ რუსული პრესსა აქამდე ცოტა ყურადღებას აქცევდა ამ თავისებურ კუთხეს: აქ რუსის საზოგადოებისათვის ბევრი და ძალიან ბევრია საგულისხმო.

მესამე წერილი სოხუმის ოლქის მოძრაობას ეხება, მაგრამ როგორ? ნახევრად ველური აფხაზები მოგვესიენ რუსებს, ვიღუპებით და ადმინისტრაცია კი გულ-ხელ-დაკრეფილია, არ გვეხმარებაო. აფხაზებს ადგილები ბევრი აქვთ, მაშასადამე მათ მოძრაობას აგრარული ნიადაგი არა აქვსო. გამოდის, რომ იქ დასახლებული რუსები სრულიად თავისუფალ, აფხაზებისათვის მოუხმარ ადგილებზე მოათავსეს. კიდევ კარგი, რედაქცია შენიშვნას უმატებს—ავტორია პასუხის-მგებელი, რასაც გვწერს. გაჯავრებულ კილოზე ეტყობა, რომ მიუდგომლად ვერ ლაპარაკობს.

# პატარა ფელეტონი

## „ერთობა“

დიდი, მაღალი სიტყვაა „ერთობა“! მე-18 საუკუნის ბოლოს გაისმა საფრანგეთში და მას აქეთ ეს სიტყვა ყოველ ხალხს განახლების გზაზე იწვევს.

ნელის ზოზმანით, კუს ნაბიჯით, თითქმის 125 წლის შემდეგ ჩვენამდეც მოაღწია!

„ერთობა, ერთობაო! ყველგან ერთობა!“ ხშირად აქაც ისმის!

საერთოდ ბევრს ჰგონია, თუ „ერთობა“ წამოიძახა, საერთო შემაერთებელი რამ ურთი-ერთ შორის დაარსდება!

და ბევრიც სცდება!

საქმე სიტყვა კი არ არის—საქმეა, და სიტყვა „ერთობას“ თუ საქმე არ „დაერთობა“, აქ მოსწყინდება, სხვაგან წავა, იქ „გაერთობა“!

ასეც არ იყოს—ბევრი ისეთი კუნჭულებია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, სადაც ერთობას სულ არ მიუღწევია, ან თავისებურად ესმით, ან და ერთობრივი გრძნობა ურთი-ერთმანეთში არ სუფევს, და ერთობა ერთობ რთულ საქმედ მიაჩნიათ!!

მაგალითად შეიძლება; „ერთობა“ და ერთობრივი გრძნობა ექიმებს შორის?..

რატომ არა, მაგრამ მხოლოდ ერთს რასმეში:

გულმოდგინედ გვისტუმრებენ საიქიოს!

ამისთანა საქმისათვის მათ შორის არც კი არის საჭირო „შეერთება“ ან კონსილიუმი!..

ერთს ავათმყოფს ერთი ექიმიც მალე მოუგრეხს კისერს!

**

შესაძლებელია თქვენა ფიქრობდეთ—რომ ჩვენ მგოსანთა შორის დამყარდა ერთობა!

რა სათქმელია!

ბევრს ვიცნობ ისეთ მგოსანს, რომელიც გაიძახის; მგოსანი მე ვარ, თორემ შიო—ბარათაშვილი, ილია—აკაკი ვინა ყრილანო!!

და თითონ კი „ბულბულს“ რითმად „მუტრუკს“ უწერს!

მოდი ახლა და ამისთანა მუტრუკი ბედაურებთან შეაერთე...

არ მოხერხდება!!

**

იქნება ადვოკატებს აქვთ კარგი ერთობა?..

რას ამბობთ? რას ამბობთ?

ავი კატებივით მზად არიან ერთმანეთს ყელი გამოსჭამონ...

ერთი მეორეს კლიენტებსართმევენ, მოწმეებს სყიდულობენ და ერთობა მხოლოდ მაშინ სწამთ, როდესაც მომჩივანსაც ატყვილებენ, მოპასუხესაც და სასამართლოსაც!

**

აი ნამდვილი ერთობა ვაჭრებში დამყარებულა!

ყველას თურმე უსწორ-მასწორო სასწორი აქვს, ყველა ნაკლებს სწონის, მოკლედ ზომავს! არც წონა სწამთ, არც სასწორი! არც საზომი!

ერთი მეორეს აკოტრებს, ყველა-კი ფაბრიკანტებს!

ერთობაა, მა რა ჯანდაბაა?!

**

იქნება, გგონიათ, მოხერხდეს ერთობა ჩვენ არტისტებ შორის?..

მეჰ, კარგია, თუ ღმერთი გრწამთ!

ერთობრივი გრძნობა მათ შორის ისე შორს არის, როგორც პორტ-არტური!

ერთი ქიშპობს, მეორე ხარბობს, მესამე ჭორიკანობს, მეოთხე ჩხუბობს—ყველანი-კი ერთი მეორეს ემდურიან:

უნიჭო ნიჭიერს, ნიჭიერი [illegible], [illegible] ზარბს, ზარბი სუქანს, სუქანი რეჟისორს, რეჟისორი ყველას და ყველა-კი სუფლიორს!!

მოდი და ერთობა დაამკვიდრე აქა?..

არ იქნება, ბატონო, არა!!

**

ნამდვილი ერთობა მართლა და მანდილოსანთ შორის თურმე სუფევს...

მაგრამ სუუ! ერთობ ცუდი საქმე მომივა, თუ გაგაგრძელე!!

ქალების მეშინია, განსაკუთრებით მამა-კაცურ ქალებისა!!

**

ამ ნაირად, როგორათაც სჩანს, ერთობა-კი არ არის—დომხალივით არეულია ყველაფერი...

ერთობა მხოლოდ იმათ შორის ყოფილა შესაძლებელი, ვისაც კუჭი სტკივა შიმშილისაგან, ზურგი—მათრახისაგან, გული—მონობისაგან...

სენი რომ ყველას ერთნაირად მოედება, ყველას ერთნაირად ააკვნესებს, და საერთო კვნესა ყველას ერთობის გზას მოაძებნინებს!!

**კვიმატი.**

# ღამის დეპეშები

## „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 აპრილი

**ლიაგუანი**, 4 აპრილი. ფილიპინის კუნძულებიდან მოვიდნენ ამერიკის კონტრ-ნალმოსნები „ბარრი“ და „ჩონსეი“, რათა კრეისერ „რელეი“-ს შეუერთდნენ, რომელიც, მიუხედავად ამისა, უკვე წავიდა ზღვაში. კონტრ-ნალმოსნებს არც იაპონიისა და არც რუსის ესკადრა არ უნახავს. „ფრანკფუტერ-ცაიტუნგ“-ის ცნობით, იაპონიის პრესსას დიდი კამათი აქვს გამართული, რომელიც გამოიწვია საფრანგეთის განზრახვამ ინდოეთ-ჩინეთის მდგომარეობის განმტკიცების შესახებ. გაზეთი „ნიჩინიჩი-შიმბუნ“-ი ამბობს, ზღვაზე ბატონობს იაპონია, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს არავის დაუთმოს ეს ბატონობა, მაგრამ საფრანგეთს არ უნდა ეშინოდეს, ვინაიდგან იაპონია ხელს შეუწყობს მხოლოდ აზიის აღმოსავლეთში ინტერესთა თანასწორობასო. თუ საფრანგეთმა თვითონ გამოიწვია იაპონია თვისი მოქმედებით, მაშინ მან უნდა იკისროს პასუხის გება ინტერესების თანასწორობის დარღვევისთვის. ამიტომ საფრანგეთმა კარგად უნდა მოიფიქროს ჯერ და მერე შეუდგეს აღმოსავლეთ აზიაში საბოლოო მოქმედებასო. იმავე გაზეთს ატყობინებენ, ყვითელი ზღვა მოფენილია რუსისა და იაპონიის ნალმებით, რომელნიც პორტ-არტურიდან წაუღია წყალსო.

**შანხაი.** იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა, გენზანის დასაცველი წრე არტყიაო. გემებს წინდაწინ გააგებინეს, სიფრთხილით იარონ და გააკეთონ საათში 5 მილი.

**ტოკიო**, 4 აპრილი. „დელი ტელეგრაფ“-ს აუწყებენ, კვირას რუსეთის ესკადრის გემები გონკონგთან იყვნენ ახლოსო. რუსის ხუთმა სანახშირე გემმა ღუზა გადააგდო კუნძულთან, 5 მილის მანძილზე გონკონგიდან.

**სინგაპური.** ჯავშნიანი კრეისერი „დიმიტრი დონსკოი“ და კრეისერი „რიონ“-ი ზვერავდნენ ადგილებს. ბუქსირით მიყავდათ სანახშირე გემები ჯავშნოსნებთან, რომლებსაც ნახშირს უდებდნენ. ბევრმა გემმა სანოვაგე მოუტანა [illegible].

**გონკონგი** 4 აპრილი, („დეილი მეილი“). ორთქლ-მავალმა გემმა „ნორდ-ანგლიამ“ შეამჩნია ღამით ბიმბის რიფთან დიდი ესკადრა, კრეისერებისაგან შემდგარი, რომელიც სამხრეთით მიდიოდა და პროჟექტორებით ანათებდა ზღვას. არ იციან, იაპონიის იყო, თუ რუსეთის გემები. ორთქლ-მავალ გემების „სენტელენი“-სა და „ბატერსიმბრიდჟ“-ის 36 მეზღვაური დასატუსაღებლად არიან წარდგენილნი, რადგანაც მათ უარი განაცხადეს იაპონიაში კონტრაბანდის წაღებაზე.

**პესკადორის კუნძულები.** („ოეიტერი“). პესკადორის კუნძულებზე იმიანობის დროის დებულება გამოცხადდა. გემებს ეცნობა, 7 მილზე ახლოს არ მიუახლოვდნენ ნაპირებს. კელუნგის ნავთსადგურში შესვლა მხოლოდ ნებართვის შემდეგ შეიძლება.

**ტოკიო.** ტუგარნის სრუტე დასაცველად შემოვლებულ წრეში ჩარიცხულად გამოცხადდა.

**მინსკი**, 4 აპრილი. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, გაუქმებულ იქნას ის შევიწროება, რომელსაც აყენებს ხოლმე ადგილობრივი ადმინისტრაცია საბჭოს მისს დადგენილების მოსპობით.

**პეტერბურგი**, 4 აპრილი. ორის დღის შეწყვეტის შემდეგ პუტილოვის ქარხნის მუშებმა 4 აპრილს განაახლეს მუშაობა. ნიკოლაევსკის კავალერიის სასწავლებლის უფროსი გრიაზნოვი დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად.

**პეტერბურგი**, 5 აპრილი. გაზეთების სიტყვით 4 აპრილს სახელმწიფო საბჭოში შეუდგნენ იმ საკითხის განხილვას, რომელიც სისხლის სამართლის ახალ დებულების შემოღებას შეეხება. ხმებია, ახალი დებულება ძალაში შევა 1906 წ. 1 იანვრიდანო. ის ნაწილები, რომელნიც ბეჭდვით სიტყვისა და რელიგიურ დანაშაულთ შეეხებიან, ძალაში დარჩებიან ახალ დებულების შემუშავებამდე, რადგანაც ხსენებული საკითხები გადასასინჯი უნდა იქნან თანახმად 2 თებერვალს გამოცემულ უქაზისა. მინისტრთა კომიტეტმა საჭიროდ დაინახა, შემოღებულ იქნან თავად-აზნაურთა არჩევნები დასავლეთის ცხრა გუბერნიებში. სამშაბათს კომიტეტი შეუდგება პოლონეთში საქმის ვითარების განხილვას. პირველ ადგილზე დაყენებულია საქალაქო და საერობო თვითმართველობანი და კერძო საქმეების წარმოებაში პოლონურ ენის შემოღება. გაზეთებს იმედი აქვთ, ციმბირში 1864 წლის საერობო დებულება იქნება შემოღებულიო; ამ დებულების ძალით გლეხ-კაცობას უფრო ვრცელ მონაწილეობის ნება ეძლევა ადგილობრივ საქმეებში.

**ლიბავა**, 4 აპრილი („ჰკვასი“). მანიფესტანტებმა საღამოს ციხის გატეხა სცადეს, საბაზრო მოედნის ღობე დაანგრიეს, გაძარცვეს რამდენიმე სახლი და ბარიკადები გამართეს; კავალერიამ ესროლა; მოკლულია რამდენიმე კაცი. თერთმეტის ნახევარ საათზე გასწმინდეს ბაზრის მოედანი. შეტაკებამდე მანიფესტანტებს, დაიშალენითო, ურჩიეს სამჯერ, მაგრამ მათ პასუხად ასროლილი ქვა დაუშინეს სალდათებს. დასჭრეს რამდენიმე სალდათი და 30 კაცი დაიჭირეს.

**ლოძი**, 5 აპრილი. ლოძის საკრედიტო საზოგადოების საერთო კრებამ გადასწყვიტა, იშუამდგომლოს მინისტრთა კომიტეტთან, რათა ლოძში შემოღებულ იქნას ქალაქის თვით-მმართველობა.

## „რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 აპრილი

**გუნჩული**, 4 აპრილი. (საკუთ, ვორესპ.). ბრძოლის ასპარეზზე ცვლილება არაა. იმ პირების სიტყვით, რომელნიც ესაა ახლა დაბრუნდნენ მონგოლიიდან, უკანასკნელის იმ ნაწილებში, რომელნიც ლიაოიანგისთან არიან ახლოს, იაპონელთ ჰაჭანებაც არ ეტყობა. ყველგან შეიარაღებული ხუნხუზები არიან, რომლებთანაც, ხშირად სროლა მოსდით.

**ბერლინი**, 4 აპრილი. ავსტრიის საზღვაო აფიცერმა განაცხადა, საზღვაო ტეხნიკის თვალით რომ შევხედოთ საქმეს, რუსეთის ესკადრა, მეტი რომ არ შეიძლება, ისე კარგს მდგომარეობაშიაო. ალბათ რუსის ადმირალი ეძებს მოხერხებულ შემთხვევას იაპონელებთან შესატაკებლად. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ტოგო, რომელმაც კარგად იცის რუსის ესკადრის მდგომარეობა, ფორმოზასთან ელოდება მას, საცა ბხლო დღეებში ბრძოლის მოხდენას უნდა მოველოდეთ; რუსის ესკადრა განაგრძობს წინ გალაშქრებას ჩვეულებრივ გზის გასწვრივ, საიგონიდან გონკონგისაკენ, რა გზითაც დადიან ყველა გემები; ის საათში 8 მილს გადის, დღეს პარაცელის არხიპელაგს მიაღწევდა, ხუთშაბათს გონკონგს გაუპირდაპირდება და პარასკევს ფორმოზის სრუტეში შევაო.

**ტოკიო.** იმ გემების მაგიერ, რომელნიც მთავრობამ მოითხოვა, იაპონიის მეგემეებმა შეიძინეს 66 გემი და 52 დაიქირავეს, რომელთაგან 22 ნორვეგიისაა და 17 ინგლისის.

**ლონდონი.** „სტანდარდ“-ს აუწყებენ, შავის ზღვის ესკადრაზე საჩქარო მობილიზაციაა გამოცხადებულიო.—ხმებია, ამ ესკადრას შეუძლიან შეეცადოს დარდანელით გასვლასო.

**ტოკიო.** სწრაფად დაასრულეს მოლაპარაკება შინაგან ახალ სესხის შესახებ. ეს სესხი შეიცავს ას მილიონ იენს და წინანდელ სესხის პირობებითაა ნაშოვნი.

**პეტერბურგი.** უმაღლესად ებრძანა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს დეისტვიტ. სტატ. სოვეტნიკს ჩებიშევს, იყოს ვარშავის სამოსამართლო პალატის მბრძანებლად; პეტერბურგის გრადონაჩალნიკის თანაშემწეს, შტალმეისტერ ფრიშს—შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრად.

**პარიზი.** ბარცელონაში მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულობას მიაგნეს. დაატყვევეს ბევრი აფიცერი.—სამხედრო სამინისტრომ ბრძანება მისცა კორპუსის უფროსებს, კარგად გამოარკვიეთ, თუ როგორაა გამაგრებული აღმოსავლეთის საზღვარიო.

### პეტერბურგის ბირჟა 1 აპრილს 1905 წ.

| | |
|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. ტ. | 94,30 |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | 46,07¹/ |
| პარიზისაზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,90 |
| ბერლინისაზე „ | 46,30 |
| პარიზისაზე | 37,72¹/₂ |
| ბირჟის დისკონტი | 5¹/₄—6³/₄% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 84³/₈ |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | — |
| 4¹/₂% შინაგანი სესხი 1903 წ. | — |
| 4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. | — |
| 5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. | 376 |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 298¹/ |
| 5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან. | 268¹/₂ |
| 5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. | — |
| 5¹/₂% ობლ. იმავე საზოგად. | — |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. | — |
| 5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. | — |
| 4¹/₂% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა | — |
| 6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 218¹/₂ |

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

# განცხადებანი

კბილებს

ვიღებ, ჰლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს დღე და ღამე [illegible] მ. ხოზინგი. მიხეილის ქ., № 108. [illegible] ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—28)

წიგნების მაღაზიაში „გუტენბერგი“ (დვორცოვაია და შტაბის ქუჩების) ისყიდება და სხვა ქალაქებში მეზრუნებით ფას-დადებით ეგზავნებათ შემდეგი წიგნები:

ბებელი ა. Экономическое рабство женщины .... 1 მ. 75 კ.
მიხაილოვსკი ნ. კ. Отклики, 2 тома 3 მ.
ბოგდანოვი, ა. Основные элементы историческаго взгляда на природу. Природа.—Жизнь.—Психика, общество .... 2 მ.
კაუცკი, კ. Противоречія классовыхъ интересовъ въ 1789 г. .... 20 კ.
[illegible] Русское общество въ семнадцатомъ столѣтіи .... 15 კ.
Трудъ и капиталъ по политической экономіи .... 20 კ.
[illegible] Очерки по исторіи Германіи въ XIX вѣкѣ. Происхожденіе современной Германіи, т. I .... 2 მ.
მინტო, ვ. Дедуктивная и индуктивная логика .... 1 მ. 75 კ.
შერრი ი. Иллюстрированная всеобщая исторія литературы, 2 тома .... 6 მ.
კაუცკი კ. Очерки и этюды, пер. Г. О. Львовича .... 1 მ. 50 კ.
ბოგდანოვი ა. Краткій курсъ экономической науки .... 1 მ.
[illegible] Энциклопедическій словарь .... 3 მ.
(1—160—1)

# ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალის, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე შეწრაფილ-ფოსტლები და სანდლიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

# ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—5—1)



СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—204)

# ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

# სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო ღედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

# „ბალკის“

ამხანაგობა (ვოკზლის ქუჩა) ჰყიდის გოგირდს და შაბიამანს. (3—144—1)

ქუთაისის საქალებო წმიდა ნინოს სასწავლებლის მთავრობა ამით აცხადებს, რომ ის მოწაფეები, რომელნიც 11 აპრილამდე სწავლის ფულს არ შემოიტანენ, გამორიცხულ იქნებიან ამ სასწავლებლიდან. (3—1)